# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10 (10.819)

24 – 31 მარტი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## მერმა გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა



გვ.3



გვ.2

## „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“...

## 21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა

გვ.2

## მშობელი VS პედაგოგი



გვ.5-8

## წითელი ჯვრის აქცია – უფასო ოფთალმოლოგიური კვლევები



გვ.3

## ქალთა კვოტირება – მისაღები თუ მიუღებელი?



გვ.4



გვ.6

## ალმართ – დალმართიანი გრძელი ცხოვრება კაცისა...

## „ახალგაზრდული იდეა“ კვლავ აქტუალურია



გვ.8

C M Y K

# 21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა

გონებამახვილი ვენეციელი, როცა მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ხელნაწერ საინფორმაციო ფურცელს უშვებდა და ორიოდე გაზეტად (გროშად) ყიდდა, ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მსოფლიო საგაზეთო ინდუსტრიას უყრიდა საფუძველს. ხოლო მას შემდეგ, რაც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში პირველი რეგულარული გაზეთები გამოვიდა, არ წყდება კამათი, ზოგადად, პრესის რაობაზე. ზოგის აზრით, ეს არის ინფორმაციის გავრცელების საშუალება და მეტი არაფერი. არცთუ უსაფუძვლოდ იმასაც ფიქრობენ, რომ ეს არის საზოგადოებაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი, უებარი საშუალება საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. ეს რომ ასეა და ლიტონი სიტყვები არ გახლავთ, მსოფლიო ისტორია არაერთხელ დარწმუნდა ამაში.

დღეს, თანამედროვე ტექნიკის საუკუნეში, როცა უამრავი მედია საშუალება არსებობს, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური, მათ კონკურენტად აღიქმება სოციალური მედია, რომელიც, ძნელია, რაიმე ჩარჩოში მოაქციო და წესებს დაუქვემდებარო. სწორედ ამის „დამსახურებაა“, რომ აკადემიური სტილი იშვიათ გამონაკლისად იქცა საქართველოში, ბაზარი გაჯერებულია ყვითელი პრესით, გადაუმოწმებელი ინფორმაციებით რომაა დახუნძლული და ამავე დროს, სალონური კინკლაობისა და კულუარული ანგარიშსწორების ასპარეზად რომ იქცა ბევრისთვის...

როდესაც გაზეთზე ვსაუბრობთ, ყოველთვის მახსენდება ფრაზა: „გაზეთი ერთ დღეს ცოცხლობს“, ანუ აქ გამოქვეყნებულ ინფორმაციას არსებობის მოკლე პერიოდი აქვს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შესაძლოა, სწორედ ამ ნომერში გამოქვეყნდეს სტატია, რომელსაც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ღრმა და ხანგრძლივი ზეგავლენის მოხდენა, მეტიც, ადამიანის ცნობიერებაში „რევოლუციის“ მოწყობაც კი შეუძლია.

საქართველოში მცხოვრებ ყველა ჟურნალისტს ვულოცავ პროფესიულ დღეს და ვუსურვებ, ყოველთვის ჰქონდეს იმისი შესაძლებლობა, რომ, კარგი გაგებით, გაეოცებინოს მკითხველი და „რევოლუცია“ მოეხდინოს მის ცნობიერებაში!

ჟურნალისტიკა მკითხველისათვის ინფორმაციის მიწოდების ხელოვნებაა. ამიტომ ჟურნალისტის ტექნიკაზეა დამოკიდებული, როგორ მოახერხებს ამას.

გთავაზობთ „ჟურნალისტიკის პრინციპებს“, რომელსაც არცერთმა ჭეშმარიტმა ჟურნალისტმა არ უნდა გადაუხვიოს.

# ჟურნალისტიკის პრინციპები



**1. რისთვის არსებობს ჟურნალისტიკა?**

- ჟურნალისტიკის დაბადება და მისი მიზანი;
- თანამედროვე ჟურნალისტიკა მე-17 საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს მეცნიერება უბრალო საუბრებში ჩაისახა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მაგალითად ინგლისში-ყავახანებში, ხოლო ამერიკაში კი „საზოგადოებრივ სახლებში“. ამერიკაში ბარმენები ისმენდნენ მოგზაურთა ისტორიებს. პირველი გაზეთებიც ამ ყავახანებში დაიბადა, დაახლოებით 1609 წელს, როცა ამ საქმით დაინტერესებულმა ინიციატივიანმა მბეჭდავებმა ჭორების, პოლიტიკური დებატების შეგროვება და შემდეგ ფურცლებზე გადატანა დაიწყეს. პირველი გაზეთების გამოჩენისთანავე ინგლისელი პოლიტიკოსები ალაპარაკდნენ ამ ახალ ფენომენზე, რომელსაც „საზოგადოებრივი აზრი“ უწოდეს. მე- 18 საუკუნის დასაწყისში კი ინგლისელმა მბეჭდავებმა დაიწყეს თავისუფალი სიტყვისა და პრესის თეორიის ჩამოყალიბება, რაც დიდი წარმატებითაც განახორციელეს.

**2. ვისთვის მუშაობენ ჟურნალისტები?**

- ჟურნალისტიკა პირველ რიგში მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს;
- ყველა ჟურნალისტი ვალდებულია, აცნობიერებდეს, რომ მოქალაქეების მიმართ მოვალეობაა უფრო მაღლა დგას, ვიდრე პროფესიული ეგოიზმი. აუდიტორიის მიმართ ერთგულება არის ის, რაც პირველობას არ კარგავს დამქირავებლის მიმართ ერთგულებასა და საკუთარი თავის ერთგულებას შორის.

**3. გადამოწმების ჟურნალისტიკა.**

- ჟურნალისტიკის არსი ინფორმაციის მუდმივი გადამოწმებაა;
- გადამოწმების დისციპლინა განასხვავებს ჟურნალისტიკას გართობის, პროპაგანდის, მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნებისგან. ჟურნალისტმა უნდა მოიპოვოს იმის შესახებ ინფორმაცია, რაც ნამდვილად ხდება. ჟურნალისტებს ხშირად უჭირთ მათი ყოველდღიური შრომისა და ჟურნალისტიკის როლის ერთმანეთთან დაკავშირება. ყოველთვის არ შეუძლიათ გააზრება, რა როლი აკისრია საზოგადოებაში ამბის გადამოწმებას. ეს ყველაფერი კი ჟურნალისტიკის ცენტრალურ ფუნქციაში შედის.

**4. ინფორმაციის მიწოდების ძირითადი ინტელექტუალური პრინციპები:**

1. არასოდეს დაამატო ინფორმაციას, ის რაც არ მომხდარა!
2. არასოდეს მოატყუო აუდიტორია!
3. გქონდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე მეთოდები და მოტივები;
4. დაეყრდენი გადმოცემის საკუთარ, ორიგინალურ სტილს;
5. იყავი თავმდაბალი.

**5. მოტყუებული წყაროები**

- ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თუ როგორი ურთიერთობა აქვთ ჟურნალისტებს ინფორმაციის წყაროებთან. ჟურნალისტმა არასდოს არ უნდა მოატყუოს წყარო და შეიყვანოს შეცდომაში ინფორმაციის მოსაპოვებლად. არსებობს ჟურნალისტთა განსაკუთრებელი კატეგორია, რომლებსაც წყაროები განზრახ შეყავთ შეცდომაში, ამას „შენიღბვის“თეორია ჰქვია. ანუ ეს არის პროცესი, როცა ჟურნალისტი ინფორმაციის მოსაპოვებლად საკუთარ თავს სხვად ასაღებს და ყველაფერზე მიდის, ოღონდ წყაროს დასტყუოს ესა თუ ის მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

**6. სიზუსტის შემოწმება:**

- სტატიების კითხვისას რედაქტორებს სხვადასხვა კითხვებთან ერთად სხვა კითხვებზეც უწევთ პასუხის გაცემა:

1. საკმარისადაა თუ არა დასაბუთებული სტატიის შესავალი?
2. ვინმემ თუ გადაამოწმა სტატიაში მითითებული ნომრები, მისამართები, სახელები და წოდებები, რამდენად შეესაბამება რეალობას;
3. საჭირო ხომ არ არის დამატებითი მონაცემები იმისთვის, რომ სტატია სრულყოფილად იქნეს აღქმული?
4. იდენტიფიცირებულია თუ არა სტატიაში ნახსენები ყველა მხარე და დაუკავშირდნენ თუ არა ყოველი მხარის წარმომადგენლებს და მისცეს თუ არა მათ აზრის გამოთქმის საშუალება?
5. რომელიმე მხარისკენ ხომ არ იხრება სტატია? ვინმეს იმაზე მეტად ხომ არ მოეწონება სტატია, ვიდრე საჭიროა?
6. რამე ხომ არ აკლია?

**7. ჟურნალისტის დამოუკიდებლობა**

- ჟურნალისტმა უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან ვისაც აშუქებს. ეს ეხება იმ ჟურნალისტებს, ვინც საკუთარ მოსაზრებებს, კრიტიკასა და კომენტარებს აქვეყნებს. ამ კონტექსტში კერძოდ, ბლოგერები შეგვიძლია მოვიხსენიოთ, მაგრამ ბლოგერები არამარტო საკუთარ ნააზრევს წერენ, არამედ დიდი ინტერესითა და მონდომებით ასახავენ ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენას, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული თუ სოციალური. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ყოველგვარი დაკვეთისა და პასუხისმგებლობისგან თავისუფლები არიან, აქედან გამომდინარე, ძნელია, ვაიძულოთ, ჟურნალისტიკის სტანდარტებს დაემორჩილონ. ამ შემთხვევაში მთავარია, არ გასცდნენ კანონის ფარგლებს.

**8. გააკონტროლე ხელისუფლება და მიეცი ხალხს ტრიბუნა:**

- მაკონტროლებლის პრინციპი, მხოლოდ მთავრობის გაკონტროლებას არ გულისხმობს, ის საზოგადოების ყველა გავლენიან ინსტიტუტსაც ეხება. ეს ასე იყო ჟურნალისტიკის დაარსების პირველივე დღეებიდან. ჟურნალისტი ვალდბულია თვალი ადევნოს და აღმოჩენისთანავე დააფიქსიროს ნებისმიერი პროფესიული სიკეთე თუ გადაცდომა. რაც მთავარია, ეს ორივე ადეკვატურად და ობიექტურად უნდა იქნეს გაშუქებული, რაც შეეხება ტრიბუნას, ჟურნალისტი ყოველთვის მზად უნდა იყოს, მოისმინოს ნებისმირი მოქალაქის გასაჭირი და მიიტანოს ეს ინფორმაცია შესაბამის ორგანოებამდე, რათა მათ ადეკვატური რეგირება მოხდინონ აღნიშნულ ფაქტზე.

**9 . მიმზიდველობა და ადეკვატურობა ჟურნალისტიკაში:**

- ის რაც მნიშვნელოვანია ჟურნალისტმა საინტერესოდ და ადეკვატურად უნდა გადმოსცეს და წარმოაჩინოს. ჟურნალისტიკა არის ამბის თხრობა, რომელსაც თავისი მიზნი აქვს. ეს მიზანი კი ხალხისთვის ინფორმაციის საინტერესოდ და გასაგებად მიწოდება გახლავთ. ისე უნდა მიაწოდო ინფორმაცია, რომ ხალხმა მოგისმინოს. ამისთვის კი საჭიროა, ეს ყველაფერი ყველასთვის გასაგები ენით იყოს გადმოცემული.

**10. ჟურნალისტი პასუხს აგებს სინდისის წინაშე:**

- ყველა ჟურნალისტს, მნიშვნელობა არ აქვს ჟურნალისტიკის რომელი იერარქიის რომელ საფეხურზეა, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა. ჟურნალისტი ვალდებულია, თავისი სინდისის შესაბამისად მოიქცეს და სხვებსაც მისცეს ასე მოქცევის საშუალება. მარტივად რომ ვთქვათ, ის ვინც მედიასა თუ პრესაში მუშაობს, უნდა აცნობიერებდეს პირად ვალდებულებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი, რომელიც არ ემთხვევა ან სულაც ეწინააღმდეგება დამქირავებლის, რედაქტორისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლის აზრს, როცა ამას სამართლიანობა მოთხოვს.

# „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“...

დაუნის სინდრომი ქრომოსომული დაავადებაა, რომლის მიზეზსაც მშობლების განაყოფიერების პროცესში წარმოშობილი დარღვევა წარმოადგენს, რის შედეგადაც ნაყოფის უჯრედებში 46 ქრომოსომის ნაცვლად 47 ქრომოსომა ხვდება. სწორედ ეს ზედმეტი ქრომოსომა განაპირობებს დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ ფიზიკურ ნიშნებს, ინტელექტუალური განვითარების შეფერხებას და ზოგიერთ შემთხვევაში, სამედიცინო საჭიროებებს (გულის თანდაყოლილი მანკი, საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემები, მხედველობისა და სმენის დარღვევები და სხვა).

საზოგადოებაში არსებული სტიგმა და მცდარი შეხედულებები ხელს უშლის დაუნის სინდრომის მქონე პირთა პოტენციალის რეალიზებასა და ნორმალურ ფუნქციონირებას. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სპეციალისტების ადრეული ჩარევა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ წარიმართება ამ სინდრომის მქონე ბავშვისა თუ მოზრდილის ცხოვრება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ზუსტი ინფორმაცია გაგვაჩნდეს აღნიშნულ დიაგნოზთან დაკავშირებით.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ინიციატივითა და დედოფლისწყაროს მერიის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით, კულტურის სახლში დაუნის სინდრომის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა. თემაზე: „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსებს“, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდია „არლეკინოს“ აღსაზრდელები (ხელმძღვანელი ნინო ლოლაშვილი) და დედოფლისწყაროს რაიონის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები დაუნის სინდრომის დიაგნოზის მქონე ბავშვებთან ერთად.



საღამოს მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საღამოს მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან და მერიის თანამშრომლებთან ერთად დაესწრო. დედოფლისწყაროს კულტურის სახლში შექმნილი საზეიმო გარემო ბავშვთა სტუდია „არლეკინოს“ წარმომადგენლებმა კიდევ უფრო გაალამაზეს.

ნინო ნატროშვილი, ლანა თეთრაძე და ნინი მჭედლიძე ყველა აქტივობაში განსაკუთრებული ენერგიითა და ხალისით იყვნენ ჩართულნი. მათ სხვადასხვა სახის შეჯიბრებებშიც მიიღეს მონაწილეობა, დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა გამარჯვებულებს საჩუქრები გადასცა სხვა ყველა მონაწილესთან ერთად და განაცხადა, რომ ნებისმიერი სახის დიაგნოზი არაფერს ცვლის და არ ნიშნავს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ სკოლამდელი და სხვა საგანმანათლებლო სტრუქტურები სრულ მზადყოფნას აცხადებენ, ხელი შეუწყონ ამ ბავშვების საერთო სოციალურ ინტეგრაციას.

დაუნის სინდრომის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლაში.

ელზა ხარაშვილი

# მერმა გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, კომპანია ,,სერპანტინის“ გენერალურ დირექტორთან ზურაბ ფეიქრიშვილთან , მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთან ბრაიან ქეინთან და მერის მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან ერთად წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მე-13-19-ე კოლომეტრების მოასფალტება და თანამედროვე სტანდარტების საფეხმავლო ტროტუარების მოწყობა. სამუშაოები მაისის შუა რიცხვებში დასრულდება და ზემო ქედი-ქვემო ქედის დამაკავშირებელი გზის 36-48-ე კილომეტრებზე გადაინაცვლებს.

„პროექტის დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროს ექნება სოფლებთან დამაკავშირებელი უმაღლესი სტანდარტების გზა. ამიტომაც გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს, თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ საუკუნის პროექტი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის “-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

აღნიშნული სამუშაოები აგვისტოს ბოლოს დასრულდება. ის ოზაანიდან ქვემო ქედის ჩათვლით 37 კილომეტრიანი საავტომობილო გზის სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს.




# წითელი ჯვრის აქცია – უფასო ოფთალმოლოგიური კვლევები

დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკაში ოფთალმოლოგმა ავთანდილ სალუქვაძემ პირველი პაციენტები მიიღო. თბილისიდან ჩამოსულმა ექიმმა ადგილობრივ პაციენტებს უფასო გამოკვლევები და კვალიფიციური კონსულტაცია გაუწია და დანიშნულებაც მისცა.

„როდესაც სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე, საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ ჩემი მოღვაწეობის კრედო იქნებოდა პაციენტებზე უანგარო ზრუნვა. ვინც ვერ მოვა ჩემთან, მე მივალ მასთან და არ ავიღებ საფასურს-ასეთია საკუთარ თავთან დადებული პირობა, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ვასრულებ და იგივეს გავაკეთებ თქვენს მუნიციპალიტეტშიც . მომავალში ვგეგმავთ სოფლებში ჩასვლას და პაციენტების ადგილზე გამოკვლევას“ - აცხადებს ავთანდილ სალუქვაძე. მისივე განმარტებით, იაპონური სამედიცინო აპარატურა, რომელიც მას დედოფლიწყაროში დახვდა, უმაღლესი ხარისხისაა და რეგიონებში ასეთი ტექნიკა დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

წითელი ჯვრის კლინიკაში დედოფლისწყაროში მცხოვრები სოციალურად დაუცველები უკვე სარგებლობენ რადიოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, გინეკოლოგისა და ლაბორანტის უფასო მომსახურებით.

ოფთალმოლოგი დედოფლისწყაროს 28 მარტსაც ეწვევა და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და სხვა მსურველებსაც მთელი დღის განმავლობაში იგივე მისამართზე, წითელი ჯვრის შენობაში მოემსახურება.

დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში მცხოვრები 7 წლის გოგონა, რომელიც დედამ გამოკვლევაზე მოიყვანა თვალების ტკივილს დიდი ხანია უჩივის. მშობლის განმარტებით, ბავშვი სათვალესაც ხმარობდა, თუმცა გაუტყდა და ფინანსური სიდუხჭირის გამო მისთვის ახალი სათვალის შეძენა ველარ შეძლეს.

„დიდი ხანია, ბავშვი ითხოვს თვალის ექიმთან ვიზიტს, თუმცა ვერ მოვახერხეთ თბილისში წაყვანა. არადა, მუდმივად აღნიშნავს, რომ უჭირს მხედველობა. როცა გავიგეთ, რომ ადგილზე ჩამოვიდოდა კვალიფიციური ექიმი, რომელიც უფასოდ იღებს მოქალაქეებს და ასევე უსასყიდლოდ ჩაგვიტარებდა გამოკვლევებს, ძალიან გაგვიხარდა. თბილისში სიარული დიდ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს და როცა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, შენივე რაიონში, ჩაიტარებ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას, დღევანდელ რთულ ცხოვრებაში ეს ნამდვილად დიდი შეღავათია. ამიტომ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო წითელი ჯვრის ადგილობრივ ორგანიზაციას. ეს აქცია ძალიან ხელსაყრელი აღმოჩნდა ჩვენთვის და ამიტომ სიხარულით მოვედით. მისი დანიშნულებითაც კმაყოფილი ვარ. ექიმმა ყველაფერი გამოიკვლია და სათვალეც მოარგო. მისი დანიშნულებით გამოწერილ სათვალეს შევუძენთ. ვეცდებით ისევ მიეჩვიოს სათვალის ტარებას. გაგვაფრთხილა, რომ პრობლემა სერიოზულია და მიგვითითა, წელიწადში ორჯერ გავაკონტროლოთ მისი მდგომარეობა,“ - აღნიშნა მოზარდის დედამ.

ოფთალმოლოგის ვიზიტით კმაყოფილებას გამოხატავდნენ სხვა პაციენტებიც, რომელთა მდგომარეობაც ასევე რთული იყო.

„ათ წელზე მეტია, დიაბეტი მაქვს, რამაც სხვადასხვა გართულებები გამოიწვია. 5 წლის წინ მოულოდნელად თვალის ბადურების ჩამოშლა დამიდგინეს. ჯერ დედოფლისწყაროში ვმკურნალობდი, შემდეგ თელავში, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამით დრო დავკარგე და ვითარება გამიუარესდა. ადგილზე არასწორი მკურნალობის გამო შედეგი სავალალო აღმოჩნდა და ორივე თვალიდან მხედველობა დავკარგე. შემდეგ თბილისში ოპერაცია გავიკეთე და ერთ თვალში ხელოვნური ბროლი ჩამისვეს, რის შედეგადაც მარჯვენა თვალში 9%-იანი მხედველობა დამიბრუნდა. მეორე თვალს ხელიც არ მოკიდეს, იმდენად დაგვიანებული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის დროს გარანტია არ მომცეს, აღმოჩნდა, რომ დაბალი პროცენტით, მაგრამ მაინც დამიბრუნეს მხედველობა. გამაფრთხილეს, რომ შესაძლოა, დროთა განმავლობაში ეს 9 პროცენტი კიდევ შემცირებულიყო, ამიტომ პერიოდულად კონსულტაციებსა და გამოკვლევებზე თბილისში სიარული მიხდება. ტრანსპორტირებისა და სხვა გამოკვლევების ხარჯებსა თუ მედიკამენტების მაღალ ფასებზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ კონსულტაცია 95 ლარი ღირს, ამის გარდა, უზარმაზარ რიგში დგომა მიხდება, ამიტომ, ხშირად დროულად წასვლა ვერ მიხერხდება. ამჯერადაც, მთელი ზამთარია ვგეგმავდი გამოკვლევებზე წასვლას, მაგრამ ხან უამინდობა მაფერხებდა, ხან სხვა ხელის შემშლელი გარემოებები იყო. რამდენიმე დღის წინ გავიგე, რომ კვალიფიციური ოფთალმოლოგი დედოფლისწყაროში ჩამოდიოდა. გამიხარდა და მოვედი. აღმოჩნდა, რომ აქ არსებული აპარატურაც იმდენად ხარისხიანია, რომ თბილისში წასვლის აუცილებლობა სულაც აღარ მაქვს. აქ სათანადო პასუხი მივიღე. გავიგე ისიც, რომ ამჟამად 8%-იანი მხედველობა მაქვს და ბროლის მდგომარეობა საუკეთესოა. ხელოვნური ჩარევა აღარ მჭირდება, წლების გასვლის შემდეგ თვალი ისევ კარგ მდგომარეობაშია. მნიშვნელოვნად გამიმარტივდა ეს კონსულტაცია. ამ დრომდე ხუთი წელი ისე გავიდა, სათვალე საერთოდ არ დაუნიშნიათ, ამჯერად კი ამ ექიმმა რეკომენდაცია მომცა, რომ სათვალეც ვატარო. შემამოწმა და აღმოჩნდა, რომ სათვალე ოდნავ კიდევ გააუმჯობესებს მხედველობას და შესაბამისი სათვალე გამომიწერა. ვაპირებ, სათვალე გამოვიყენო. ექიმის განმარტებით, ვითარების გაუმჯობესების იმედი აღარ არის, თუმცა უნდა ვიმუშაოთ საიმისოდ, რომ არსებული მხედველობა შევინარჩუნო და მაქსიმალურად გავიხანგრძლივო,“ - აღნიშნა ელზა ჩერქეზიშვილმა.



**ასე რომ, მათ ვინც ამ სიკეთით ვერ ისარგებლა, შეუძლია 28 მარტს დაგეგმილ ვიზიტს დაელოდოს და წითელი ჯვრის ოფისს ეწვიოს.**

ილია მარტყოფლიშვილი

# პროფესიული დღე მიულოცეს



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა მედიის წარმომადგენლებს ქართული ჟურნლისტიკის დღე მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

„ყველა ჟურნალისტს ვულოცავ პროფესიულ დღეს, განსაკუთრებით კი ჩვენი მუნიციპალიტეტის გაზეთ ,,შირაქის“ ჟურნალისტებს. შეუფასებელია ამაგი, რომელიც თქვენმა გაზეთმა ჩვენი მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში შეასრულა. გილოცავთ და გისურვებთ პირად და პროფესიულ წარმატებებს“-განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი ფუფუნება ყურადღებაა. გმადლობთ, რომ იჩენთ ამ ყურადღებას. ასევე გმადლობთ, რომ აფასებთ ჩვენს პროფესიონალიზმს“-აღნიშნა ჟურნალისტმა ინგა შიოლაშვილმა.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა. ჟურნალისტებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებზე ისაუბრეს.

ქართული ჟურნალისტიკის დღის აღნიშვნა პირველი ქართული მედია საშუალების გამოცემას უკავშირდება. გაზეთი 1819 წლის 21 მარტს გამოიცა და „საქართველოს გაზეთი“ ეწოდებოდა. პერიოდულმა ბეჭდურმა მედიამ 1821 წლის ბოლომდე იარსება.

# დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც სასურველი შედეგის მოტანის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულობის საერთაშორისო იმიჯს მაღალ ლეგიტიმაციას შესძენს

15 მარტს, თელავში , გენდერულ კვოტირებასთან და 2018-2019 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმისთვის ახალი ვალდებულებების შემუშავებასთან დაკავშირებით, ჩატარდა პასუხისმგებელი პირების საჯარო შეხვედრა კახეთის რეგიონის თვითმმართველობების, სამოქალაქო სექტორის და მასმედიის წარმომადგენლებთან.

შეხვედრა გახსნა და პირველ უმთავრეს საკითხზე, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გენდერული კვოტირების დროებითი მექანიზმების დაწესების შესახებ, ისაუბრა ნიკოლოზ შარვაშიძემ („აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ (EECMD). როგორც მან განმარტა,




გენდერული კვოტირების შესახებ არსებული საკანონმდებლო ინიციატივა კარგა ხანია, მრავალმხრივი განხილვის თემად და პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს სტრატეგიის და გეგმების შემადგენელ ნაწილად იქცა. პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებლები ჯერ კიდევ დაბალია, ამიტომ კვოტირება, როგორც დროებითი მექანიზმი, სწორედ ქალთა გააქტიურებას, მათ ჩართულობას და პარლამენტში გენდერული ბალანსის მიღწევას ემსახურება.

შეხვედრაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს გეგმებსა და სტრატეგიაზე ისაუბრა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს წევრმა ირინა ფრუიძემ. მან დროებითი მექანიზმების გამოყენება, როგორც გენდერული ბალანსის სწრაფად მიღწევის საშუალება, ამ ეტაპზე ყველაზე შედეგიან ინსტრუმენტად დაასახელა. საჭიროა, პარტიულ სიებში ქალთა რაოდენობის გაზრდა რეალურად და არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისთვის დამატებითი ფინანსების მოსაზიდად. სამწუხაროდ, ამის გამოცდილება უკვე არსებობს, ამიტომ, ახალ საკანონმდებლო ინიციატივაში, გენდერული ბალანსის მისაღწევად, პარტიულ სიაში ყოველ მეორე ნომრად ქალი უნდა იყოს; ამ საკითხზე პარლამენტში არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს, თუმცა, საერთაშორისო გამოცდილება ამის დადებით მაგალითებს იძლევა.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის აუცილებლობასა და მოსალოდნელ დადებით შედეგებზე ისაუბრა სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ანა ილურიძემ; მან გენდერულ ჭრილში შეაფასა სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში და აღნიშნა, რომ ამ მხრივ, სავალალო ციფრებია და სწორედ ამ დროებითი მექანიზმებით, მათ შორის კვოტირების შემოღებით, შესაძლებელია, დაძლეულ იქნას ეს დისბალანსი; გენდერული თვალსაზრისით კანონი სხვა ასპექტებშიც საჭიროებს გადახედვას. მაგალითად: დეკრეტული შვებულება, ქალთა შრომის ანაზღაურება, ეკონომიური და ფინანსური დამოუკიდებლობა და სხვა. ეს საკანონმდებლო ღონისძიებები დადებით გავლენას მოახდენს ქალთა ძალადობის ფაქტების შემცირებასა და მათი უფლებების დაცვაზე, უზრუნველჰყოფს საერთაშორისო კონვენციებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა მარეხ მგალობლიშვილმა ისაუბრა, როგორ მოქმედებს ევროპაში კვოტირების სისტემა და შეადარა საქართველოს. სამწუხაროდ, ჩვენთან, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის ინდიკატორი საპარლამენტო ხელისუფლებაში არის მხოლოდ 16 %. თუმცა, აქვე, სიამაყითაც შეიძლება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სასამართლო ხელისუფლებაში 53% ქალია, მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოზე. ზოგადად, კვოტირება ორნაირი არსებობს, კანონით განსაზღვრული და შიდაპარტიული. შიდაპარტიული ნებაყოფლობითია. საერთაშორისო მასშტაბით, გენდერული კვოტა 54 ქვეყანაშია, შიდაპარტიული – 55-ში, რაც დემოკრატიულობის მაღალ ხარისხზე მიგვანიშნებს.

შეხვედრაში საპარლამენტო უმრავლესობიდან მონაწილეობდნენ მაჟორიტარი დეპუტატები გურამ მაჭარაშვილი (ყვარელი-ლაგოდეხი) და გელა სამხარაული (თელავი-ახმეტა), (დანარჩენებმა თავიანთი მოსაზრებები ტელეფონით დააფიქსირეს). მათ კმაყოფილება გამოხატეს დემოკრატიის მაღალ სტანდარტებთან მიახლოვებასთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ მხარს დაუჭერენ გენდერული კვოტირების დროებითი მექანიზმების ამოქმედებას, თუმცა, ცალსახად აღნიშნეს, რომ აუცილებელია, შერჩეულ ქალ კანდიდატებს გააჩნდეთ მაღალი შესაძლებლობები, სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

პირველ საკითხთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები და საუბარი სადისკუსიო ფორმატში გადაიზარდა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მომავალში, 2024 წელს, პროპორციული სისტემით არჩეულ პარლამენტში, კვოტირების შესაბამისად, პარტიული სიების პირველ და მომდევნო ათეულში, რამდენად ექნებათ მოხვედრის შანსი რეგიონის წარმომადგენელ ქალებს.

შეხვედრაზე მეორე მნიშვნელოვან საკითხად განიხილეს 2018-2019 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმისთვის ახალი ვალდებულებების შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც ვიცით, 2017 წლის სექტემბრიდან საქართველო ერთი წლის ვადით „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) თავმჯდომარე ქვეყანა გახდა, რაც უდიდესი პასუხისმგებლობა და გამოწვევაა განვითარებადი ქვეყნისთვის. დღეს, როცა ტექნოლოგიებისა და სოციალური მედიის განვითარება დემოკრატიაზე არსებით გავლენას ახდენს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი კომუნიკაცია და ინოვაციებზე დაფუძნებული საჯარო მმართველობა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს.



„ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ“, საკონსტიტუციო ჯგუფთან ერთად, 2017 წელს, მეორე სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, რომელიც მოიცავს 24 ვალდებულებას და დაფუძნებულია ღია მმართველობის პარტნიორობის 4 ძირითად პრინციპზე: გამჭვირვალობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება, ტექნოლოგიები და ინოვაციები.

საკითხზე, ღია მმართველობის პარტნიორობა და 2015-2017 წლებში საქართველოს მიღწევები საპარლამენტო ღიაობის კუთხით, ისაუბრეს ირინა ფრუიძემ( „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“ თავმჯდომარე) და გიორგი კლდიაშვილმა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი);

მომდევნო საკითხზე: 2018-2019 წლების ღია პარლამენტის ახალი სამოქმედო გეგმა, ახალ ვალდებულებებთან დაკავშირებით იდეების განხილვა - ისაუბრა გიორგი კლდიაშვილმა. საერთო ჯამში ეს გეგმა აერთიანებს 24 ვალდებულებას და, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან სიახლეებს, როგორიცაა: პეტიციების წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა; პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული მომსახურების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის; პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შემუშავება და გამოქვეყნება; მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდა; საჯარო ინფორმაციის ანგარიშების მონიტორინგის სისტემის შემუშავება; მთავრობის მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობის დანერგვა და სხვა.

კითხვა-პასუხის შემდეგ, შეხვედრა შეაჯამა „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“თავმჯდომარემ ირინა ფრუიძემ.

ანა ბენაშვილი,
**დედოფლისწყაროს მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი.**

# ქალთა კვოტირება – მისაღები თუ მიუღებელი?

„2017 წლის სექტემბრიდან საქართველო, ერთი წლის ვადით, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. ეს ჩვენთვის, ერთი მხრივ, წარმატებით განხორციელებული რეფორმის ნათელი დადასტურებაა, ხოლო მეორეს მხრივ, უდიდესი პასუხისმგებლობა და გამოწვევა. ჩვენი სურვილია, გავაძლიეროთ და დავნერგოთ მოქალაქეზე ორიენტირებული და ინოვაციებზე დაფუძნებული საჯარო მმართველობა როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო დონეზე. ინფორმაციის თავისუფლება და მასზე შეუფერხებელი წვდომა, ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვა საკანონმდებლო პროცესებში, პარლამენტის კონსტიტუციური როლისა და მისიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, ღია მმართველობის ფუძემდებელი პრინციპებია. ამ პრინციპებზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტი ქმნის ხელსაყრელ გარემოს ამომრჩეველთან კავშირის გასაუმჯობესებლად და საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის გასაზრდელად“,-ეს სიტყვები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს ეკუთვნის. მისივე თქმით საქართველოს პარლამენტს აქვს ვალდებულება ევროპარლამენტის წინაშე და ეს ვალდებუილებები უნდა შესრულდეს. ღია მმართველობის სამოქმედო გეგმისთვის ახალი ვალდებულებების შემუშავებასთან დაკავშირებით ქალაქ თელავში არასამთავრობო სექტორთან, ჟურნალისტებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგებლებთან შეხვედრა მოაწყეს პარლამენტის წევრებმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. შეხვედრა გაიმართა ორგანიზაციის „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ (EECMD), ინიციატივით.

საქართველოში მოსახლეობის 52.3% ქალია, თუმცა, არჩევით თანამდებობებზე ქალების წარმომადგენლობა შეუსაბამოდ დაბალია.

ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ქალებმა მანდატების მხოლოდ 16% მოიპოვეს, ხოლო საკრებულოებში არჩეული დეპუტატების 13.46%-ია მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. ამ მაჩვენებლებით საქართველო ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის კუთხით განვითარებულ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება და 114-ე ადგილზეა. ამ ეტაპზე პარლამენტში განიხილება საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, პარტიებსა და ბლოკებს დაავალდებულებს, რომ პარტიულ სიებში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ. საკითხთან დაკავშირებით მმართველ გუნდში ერთიანი პოზიცია არ არსებობს.

საქართველოს პარლამენტის წევრი ირინა ფრუიძე აღნიშნავს, რომ კანონპროექტი, რომელიც ეხება სავალდებულო კვოტების დაწესებას, არის დროებითი მექანიზმი თანასწორობის მისაღწევად და აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკაა. ფრუიძე კანონმდებლებს კანონპროექტის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. თელავში თავშეყრილი აუდიტორიის წინაშე სწორედ ამ საკითხის ირგვლივ წარიმართა დისკუსია.

„საქართველოსთვის, ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, დაწესდეს დროებითი მექანიზმისკვოტირების სისტემა, რომ მიღწეულ იქნეს თანასწორი პოლიტიკური შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება, რათა არ იწვევდეს შიშს კვოტირებაზე საუბარი. მე იმედი მაქვს, რომ ჩემი კოლეგა მამაკაცები მხარს დაუჭერენ აღნიშნულ კანონპროექტს, რომელიც იქნება უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება“, - განაცხადა ირინა ფრუიძემ.

თელავისა და ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი **გელა სამხარაული.**

საარჩევნო სიებში სავალდებულო გენდერულ კვოტირებას იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ ეს იქნება მხოლოდ ერთჯერადი ინიციატივა. გელა სამხარაულის აზრით, საარჩევნო სიის ფორმირების დროს მთავარი უნდა იყოს კანდიდატის კვალიფიკაცია და არა მისი სქესი.

ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი მიიჩნევს, რომ სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმი უნდა ამოქმედდეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. ის ფიქრობს, რომ პარტიებს უნდა ჰქონდეთ ვალდებულება, საარჩევნო სიებში წარადგინონ არა ყოველი მეორე, არამედ ყოველი მესამე განსხვავებული სქესის კანდიდატი.

მესამე სექტორი კი, ხელისუფლებას საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესის ხელშეწყობისთვის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. საიას თელავის ოფისის ხელმძღვანელი სავალდებულო გენდერული კვოტირების აუცილობლობაზე მიუთითებს და აღნიშნავს, რომ ეს მექანიზმი იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური, თუ კანონმდებლობაში მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში დაწესდება სანქციები.

„ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა და ამ მიმართულებით ქმედითი ზომების განხორციელება. გენდერული კვოტა, თუნდაც 50%-იანი, ვერ იქნება წარმატებული, თუ ის არ ითვალისწინებს კანდიდატთა სწორპოზიციონირებას. თანასწორობის სრულად მისაღწევად იდეალურია 50%-იანი კვოტა ე.წ. „ზიპ“ სისტემის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სქესთამონაცვლეობას ყოველ ორ კანდიდატში. გენდერული კვოტა ეფექტური რომ იყოს, აუცილებელია, დაწესდეს სანქციები მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში. მსოფლიოში გავრცელებულია ორი ტიპის სანქცია. პირველი - გენდერული კვოტის დაუცველობის შემთხვევაში, პოლიტიკურ პარტიას ეკისრება ფინანსური ჯარიმა (მაგალითად, საფრანგეთი); მეორე - გენდერული ბალანსის დაუცველობის შემთხვევაში, პოლიტიკურ პარტიას უუქმდება რეგისტრაცია და ვერ მონაწილეობს არჩევნებში. ექსპერტების დიდი ნაწილი მხარს უჭერს პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნას, რადგან ფულადი ჯარიმა, შესაძლოა, არ წარმოადგენდეს წინააღმდეგობას ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისთვის. მხოლოდ პატარა და სუსტი პოლიტიკური პარტიებისთვის არის ასეთი ჯარიმა საფრთხე“, - აღნიშნავს მარეხ მგალობლიშვილი.

სახალხო დამცველის აპარატიც მოუწოდებს ხელისუფლებას, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივას. ომბუდსმენის აპარატის გენდერული დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ანა ილურიძე აცხადებს, რომ სავალდებულო გენდერული კვოტირების დაწესების შემთხვევაში 2020 წლის მოწვევის პარლამენტში ქალთა რაოდენობა იქნება მინიმუმ 26%.

2017 წლის 12 ივნისს, 37 ათას 455-მა ამომრჩეველმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა, რომელიც საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, პარტიებსა და ბლოკებს დაავალდებულებს, რომ პარტიულ სიებში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ. კანონპროექტის მიხედვით, პარლამენტის ან საკრებულოს პროპორციული წესით არჩეული წევრისთვის, სადეპუტატო მანდატის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს დაიკავებს სიაში რიგით მომდევნო იმავე სქესის წარმომადგენელი.

მასალა მოამზადა
ლალი მეხრიშვილმა

# მშობელი vs პედაგოგი

## ინკლუზიური სწავლების შუქ-ჩრდილები



**დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯში აუტისტური სპექტრის მქონე 7 წლის ბიჭი თვეზე მეტია სკოლაში აღარ დადის. მოსწავლის ოჯახში ამბობენ, რომ იძულებულნი გახდნენ პროტესტი ამ ფორმით გამოეხატათ. ბიჭის დედა მაკა შარმაზანაშვილი სოფელ ხორნაბუჯის რუსულ-ქართული საჯარო სკოლის ადმინისტრაციას და ინკლუზიური სწავლების სპეც-პედაგოგს ჟანა ბაბაიანს უყურადღებობაში ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვისთვის სკოლამ შესაბამისი გარემო ვერ შექმნა. არასათანადოდ შედგენილი სასწავლო გეგმით კი მისი შვილი განვითარებას ვერ ახერხებს. ამიტომ პედაგოგის შეცვლამდე ბავშვის სკოლაში მიყვანას არ აპირებს.**

მშობელი ეჭვქვეშ აყენებს პედაგოგის კვალიფიკაციას და არ მოსწონს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეადგინა. შარმაზანაშვილი სპეცპედაგოგის ხელმძღვანელებზეც მიანიშნებს და ამბობს, რომ ჟანა ბაბაიანი თამარ ტუხაშვილის მითითებებს ემორჩილებოდა.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოს უფროსს, ქალბატონ ეკა დგებუაძეს მივმართე თხოვნით დედოფლისწყაროს სოფ. ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში არსებული დარღვევების აღმოსაფრხვრელად მიეღო ზომები, რათა სრულფასოვნად ყოფილიყო უზრუნველყოფილი ჩემი შვილის (მათე ბაცაცაშვილი) უფლებები. მიმართვის შედეგად, განათლების სამინისტრომ (19.03.2018) პრობლემის გადასაწყვეტად დედოფლისწყაროს რესურსცენტრში გამოგზავნა წარმომადგენელი – მულტიდისციპლინური გუნდის წევრი თამარ ტუხაშვილი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ამ დარღვევებთან. თქვენ ფლობთ თამარ ტუხაშვილის მიერ მოწოდებულ ცრუ ინფორმაციას, თითქოს მე არ ვთანამშრომლობ სკოლასთან, რადგან ამ ეტაპისთვის არ დავთანხმდი იმას, რასაც აქამდე მოვითხოვდი და ისინი შეუძლებლად მიიჩნევდნენ (და მხოლოდ ამ ეტაპზე გახდა შესაძლებელი). მაგალითისთვის, ბავშვის ხელოვნების და სპორტის გაკვეთილებში ჩართვას, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმავითარებელი კომპონენტია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისთვის. რამდენიმე თვის განმავლობაში ვითხოვდი ხსენებულ აქტივობებში ჩართვას, თუმცა უშედეგოდ. ეკა დგებუაძე ვალდებული იყო, ჩემთან პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონოდა, იმ პირების გარეშე, რომელთა კომპეტენციასა და გულისხმიერებასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები და პრეტენზიები მაქვს. ლოგიკურია, რომ ნებისმიერი პრეტენზიის განხილვა სულ მცირე, მხოლოდ იმ პირების დასწრებით, რომელთა მიმართაც ისინი არსებობს, შეუძლებელია იყოს ნაყოფიერი ზედამხედველი უფლებამოსილი მიუკერძოებელი სუბიექტის დასწრების გარეშე. ჩემი, როგორც სსსმ ბავშვის მშობლის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს სპეც-მასწავლებლის სტაჟი და ვერც თამარ ტუხაშვილის თანამდებობა ან აკადემიური ხარისხი (დოქტორის ხარისხზე, შეხვედრისას, თავად მიმითითა); ღიად ვაცხადებ, რომ ჩემთვის, როგორც დედისთვის ვერანაირი ფორმის ზეწოლა ვერ გახდება ჩემი შვილის უფლებების სრულფასოვან რეალიზებაზე უარის თქმის მიზეზი. მე ვერ დავთანხმდებოდი იმ პირებთან თანამშრომლობას, რომელთა ქმედებები და გადაწყვეტილებები ჩემი შვილის მიმართ (თვეების განმავლობაში საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის გახანგრძლივებაზე უარის თქმა, აპელირება იმის თაობაზე, რომ უმრავლესობის უფლება ირღვევა და არსებობს პრეცედენტები, როდესაც ასეთი ბავშვები სკოლიდან გარიცხეს; ბავშვი ვერ ვითარდება და ა.შ.) ვერ გახდება ვერც პროფესიული და ვერც მორალური ნდობის საფუძველი. ჩემი შვილის უფლება – თანასწორობის ფუნდამენტური უფლების რეალიზების გზით, მიიღოს ზოგადი განათლება, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი პირის თანამდებობა ან საქმიანი რეპუტაცია, რომელსაც, პირველ ყოვლისა, უნდა აყალიბებდეს თავად საქმე და არა - რომელიმე დოკუმენტი. სამწუხაროდ, განათლების სამინისტროდან ვერ დავინახე შესაბამისი რეაგირება ბავშვის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, იძულებული ვარ მივმართო შესაბამის სამსახურებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ასევე, პარლამენტის წევრ ბატონ რატი იონათამიშვილს, მინდა ვთხოვო საკითხით დაინტერესება რამდენადაც ეს შესაძლებელია,“ — ნათქვამია ღია წერილში, რომლითაც მაკა შარმაზანაშვილმა სამინისტროს მიმართა.

მაკა შარმაზანაშვილი: **„თუკი ბავშვს საბავშვო ბაღში კარგი გარემო შეექმნა და განვითარდა, რატომ ვერ ხერხდება იგივე სკოლაში? მითუმეტეს, რომ მანამდე კერძო მასწავლებელიც გვყავდა და სკოლაში ბავშვთან მუშაობა ნულიდან არ უნდა დაეწყოთ** და რაღაც ეტაპი მას გავლილი ჰქონდა. სამი წლიდან, რაც ეს დიაგნოზი დაგვისვეს, მუშაობა არ შეგვიწყვეტია. ბაღშიც სპეცმასწავლებელი დაენიშნა და ნამდვილად იყო წინსვლა. ბავშვი არ დადის სკოლაში 19 თებერვლიდან, რადგან ვერანაირ წინსვლას და პერსპექტივას ვერ ვხედავ. თუ სკოლა მეცადინეობის დროს 1 წლის განმავლობაში 10 წუთით ვერ გამიზრდის, პროგრესი როგორ იქნება? ვერ ვხედავ ჩართულობას. ამიტომ, მივმართე სამინისტროს, დაიწყო მოკვლევა, ველოდები ქმედით გადაწყვეტილებას. ნამდვილად არ ვაპირებ ბავშვის სკოლიდან წაყვანას. დღეს თუ მე ვარ დაზარალებული, ხვალ შეიძლება სხვა დადგეს ამ პრობლემის წინაშე. აუცილებლად დავიცავ ჩემი შვილის უფლებას. ამ უფლებას ვერავინ ვერ წაგვართმევს, რადგან ყველა ბავშვს აქვს განათლებისა და განვითარების უფლება, მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა. მე არ მაინტერესებს ჟანა მასწავლებლის სერტიფიკატები, მე მინდა შედეგი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში არ დამინახავს. სექტემბრიდან დღემდე ბავშვს წინსვლა არ ჰქონია. მას რომ სცოდნოდა რა არის ბავშვის უფლება და რას ნიშნავს ინკლუზია, ყველაფერს გააკეთებდა. როცა ბაღში სპეცპედაგოგი ერთი საათის განმავლობაში მუშაობდა ბავშვთან, რატომ არ შეიძლება სკოლაში ნახევარი საათი მაინც დაუთმონ და რატომ მეუბნებიან უარს დროის გაზრდაზე. მითუმეტეს მასწავლებელი მუდმივად მე მეკითხებოდა, როგორ მოქცეულიყო და რითი ემუშავა ბავშვთან. ამ სკოლას აუტიზმთან დაკავშირებით არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა და ეს მათთვის პირველი შემთხვევა იყო, ამიტომაც ბევრ რამეს ჩემთან კითხულობდნენ. მათი გამოუცდელობა ბრალდება ბავშვის შესაძლებლობებს. თითქოს ვერ ითვისებს იმიტომ რომ არ შეუძლია და არა იმიტომ, რომ ვერ ასწავლიან. თავიდანვე წავაწყდით პრობლემებს, რომ არ იცოდნენ აუტისტურ ბავშვებთან რა მიდგომა ჰქონოდათ. მე ვითხოვ იმას, რაც ბავშვს შეუძლია. მე არ მომითხოვია დღეში 6 გაკვეთილი ჩაუტარდეს, ან წერა-კითხვა ისწავლოს. მუდმივად გვესმის, რომ „შენი შვილის გამო სხვა ბავშვებისთვის ვეღარ მიგვიხედავს“. მშობლებიც და კლასის დამრიგებელიც გამოდიან და იგივეს იმეორებენ, ეს არის იძულება, რომ სკოლიდან წამოვსულიყავით. მივიტანე დიაგნოზი და მოვითხოვე დროის ოდნავ გაზრდა, პასუხად კი მივიღე ის, რომ **„დაუნახავები ხართ, პრობლემა ბავშვი კი არ არის, პრობლემა თქვენშია. ამდენს ვაკეთებთ თქვენი შვილისთვის და ვერ დაინახეთ“**. სპეცმასწავლებელმა, რომელიც საკლასო ოთახში შედიოდა, გადაწყვიტა კლასის ხელმძღვანელს დახმარებოდა. ის გაკვეთილის მსვლელობისას მუდმივად დგებოდა კორიდორში და კლასში აღარ შედიოდა. ვთხოვე, შესულიყო და დამრიგებელს დახმარებოდა. ჟანა მასწავლებლისგან უარი მივიღე, რომ სხვა ბავშვებიც ჰყავდა მისახედი. როცა სკოლის ახლადდანიშნულ დირექტორს პრობლემა გავაცანი და დახმარება ვთხოვე, დამპირდა, რომ გვერდით დამიდგებოდა და დრო გაიზრდებოდა, თუმცა მოგვიანებით მან პირობა გადააკეთა და აღნიშნა, რომ ეს მისი გადასაწყვეტი არ იყო და ეს თამარ ტუხაშვილს უნდა გადაეწყვიტა. სკოლა ხშირად იმეორებდა, რომ ბავშვი აგრესიას ავლენს, არადა მისი ქცევები კარგად მაქვს შესწავლილი და მინდა ვთქვა, რომ ბავშვი აგრესიული არ იყო. რამდენიმე ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ ამას თავისი წინა პირობა ჰქონდა. როდესაც დამრიგებელმა სხვა მოსწავლეს დაუყვირა, მათემ ეს გააპროტესტა და ყვირილი დაიწყო, ასე გამოხატა რეაქცია. ამ სპექტრის ბავშვებს ეს ახასიათებთ. წინაპირობის გარეშე ისინი აგრესიას არ ავლენენ. როცა მეც კლასში ვიყავი, ის არანაირ აგრესიას არ ავლენდა. ამიტომ, ტყუილია, თითქოს მან დაფა ჩამოაგდო, ან მერხები გადააყირავა“.

ბავშვის ბებია, **მაყვალა მამულაშვილი** ამბობს, რომ სხვა მოსწავლეების მშობლები და პედაგოგები ხშირად ცრუობდნენ, თითქოს აუტისტური სპექტრის ბავშვი კლასში აგრესიული იყო, სხვა ბავშვებს კი განათლების მიღებაში ხელი ეშლებოდათ. მათი აზრით, ესეც ბავშვის წინააღმდეგ მიმართული ქმედებათა ნაწილი იყო.

„რადგან ჩემი შვილი მუშაობს, ზოგჯერ ვერ ახერხებს და სკოლაში ბავშვს მე ველოდები ხოლმე. მუდმივად კოლიდორში მიწევს ყოფნა. ერთ დღესაც ერთერთმა მშობელმა მითხრა, რომ **მათე აგრესიულად იქცეოდა და გადააყირავა მერხი, გადმოყარა ქოთნები, ჩამოაგდო დაფა. გაოცებული დავრჩი, რადგან კარებთან ვიდექი და აბსოლუტური სიჩუმე იყო, ხმაური არ გამოსულა.** დავუპირისპირდი და შევთავაზე შევსულიყავით და ეჩვენებინა გადმოყრილი ნივთები. აქეთ გვსაყვედურობდნენ ხოლმე, რომ მათეს გამო მათ შვილებს გაკვეთილებზე ხელი ეშლებოდათ,“ – აღნიშნავს მაყვალა მამულაშვილი.

ბრალდებებს უარყოფს სპეცპედაგოგი ჟანა ბაბაიანი. ის ირწმუნება, რომ მოსწავლის უფლებები არასოდეს დაურღვევია, ბიჭი კლასში თავს კარგად გრძნობს და მათ შორის იდეალური ურთიერთობაა. პედაგოგი გაზეთ „შირაქთან“ ექსკლუზიურად ამბობს, რომ პრობლემა არა ბავშვში, არამედ მშობელშია. ის ადასტურებს, რომ გაკვეთილის მსვლელობისას ბავშვს კორიდორიდან მეთვალყურეობდა და ეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით იყო განსაზღვრული. ამბობს, რომ 40 წელია ამ სკოლაში მუშაობს, ინკლუზიურ სწავლებაშიც საკმაო გამოცდილება აქვს და სათანადო გადამზადებაც გაიარა. ის მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ჯილდოს, ღირსების ორდენს უსაფუძვლოდ არ მიანიჭებდნენ.

ჟანა ბაბაიანი: **„მტყუანი რომ ვიყო და უფლებები შემელახა, ჩემი ნებით წავიდოდი.** თუკი ამდენი ტრენინგის შემდეგაც არ ვარ მზად ბავშვებთან ვიმუშავო, და თუ არსებობს კადრი რომელიც ამ საკითხებში კარგად ერკვევა, კი ბატონო, მოვიდეს და ერთად ვითანამშრომლებთ, მე მართლა გამიხარდება. **ღმერთის წინაშე მე მართალი ვარ, რომ ამ ბავშვისთვის ყველაფერს ვაკეთებ და არანაირი უფლებები არ დამირღვევია. ვიცი, რომ თავი არ დამიზოგავს და ყველაფერი გავაკეთე. ჯერ არ დაბადებულა ბავშვი, რომელიც იტყვის, რომ ოდესმე ჟანა მასწავლებელმა მისი უფლებები შელახა. ამ ბავშვთან დიდი ხმით არ დამილაპარაკია, ხელი არ ამიწევია, არანაირი პრობლემა არ შემქმნია. ჩვენ გვაქვს მართლაც იდეალური ურთიერთობა.** მე არც დღეს მაქვს პრობლემები მათესთან, მართლა არ მაქვს პრობლემები. არასოდეს, არცერთ მოსწავლესთან პრობლემა არ მქონია, არა მარტო ა-ტიპიურ, არამედ ტიპიურ მოსწავლეებთანაც. სხვა წლებში 6 სსსმ მოსწავლე მყავდა, წელს უკვე შვიდია. მჭიდრო კონტაქტი მაქვს მშობლებთან, თბილი და კარგი ურთიერთობა მაქვს მათთანაც.

**– ოჯახი აპროტესტებს, რატომ იდგა სპეცმასწავლებელი ხშირად კორიდორში?**

– ბავშვი იყო ჩემზე მიჯაჭვული. იცოდა, რომ მის გვერდით ხშირად მე ვიყავი და კლასის დამრიგებელი ვერ გახდა მისთვის ავტორიტეტი. მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრებმა ერთობლივად გადავწყვიტეთ, რომ ნელ-ნელა უნდა გამოვსულიყავი გაკვეთილიდან და ბავშვი კლასში ყოფნას შეჩვეოდა. მან უნდა იცოდეს, რომ კლასში სხვა მასწავლებელი ჰყავს, ხოლო რესურსოთახში სხვა. მე შემეძლო მშვიდად ვყოფილიყავი და ბოლო 15 წუთს ვამეცადინებდი, მაგრამ სწორედ ბავშვზე მზრუნველობის გამოხატულება იყო, რომ დერეფანში ვიდექი. დიახ, ვიდექი დერეფანში, კლასის კართან, რადგან თუ ბავშვს, ან მასწავლებელს რაიმე გაუჭირდებოდა, ან ჭირვეულობას დაიწყებდა, ოპერატიულად შევსულიყავი, სიტუაცია გამენეიტრალებინა და დავხმარებოდი. ამიტომ ვიდექი დერეფანში და არა იმიტომ, რომ არ მესმის, ან არ ვიცი, რა არის ინკლუზიური სწავლება. მიმაჩნდა, რომ ამით ყურადღებას ვიჩენდი და ოჯახმა ეს საპირისპიროდ მიიღო.

**– დედას მიაჩნია, რომ ბავშვს შედეგი დღემდე არ ჰქონია და სკოლამ მისი უნარები ვერ განავითარა...**

– შედეგი ნამდვილად გვაქვს. თავდაპირველად კლასში შესვლა დიდ დროს მოითხოვდა, უჭირდა. ახლა ეს პროცესი გაადვილებულია, გარემოს მოერგო. ისწავლა კარზე დაკაკუნება, სმაილის ხატვა. იცის, რომ ჩანთიდან ნივთები ამოალაგოს. მიღწევები გვაქვს.

**– მშობელს თქვენს კომპეტენციასა და გამოცდილებაში ეჭვი შეაქვს და თქვენს ცვლილებას ითხოვს. რა პასუხი გაქვთ ამაზე?**

– ეს საქმე ჩემთვის მხოლოდ სამუშაო არ არის. მე ძალიან მიყვარს ბავშვები და მათგანაც ვგრძნობ სითბოს. 40 წელია, ამ სკოლაში ვმუშაობ და აქედან 30 წელზე მეტი პედაგოგიური სტაჟია. დამსახურებული მასწავლებელიც ვარ, ღირსების ორდენიც მომენიჭა. სახელმწიფო ჯილდოს ასე უბრალოდ არ ანიჭებენ. პედაგოგიკა და მეთოდიკა სრულად მაქვს გავლილი, სადაც ფსიქოლოგიაც შედიოდა. ტრენინგებიც რომ არ გამევლო, მე საკმაო გამოცდილება მქონდა, რომ ბავშვთან მემუშავა. პირველად, როცა ინკლუზიური სწავლება დავიწყეთ, 8 თვეზე მეტ ხანს ველოდე, როდის დამიბარებდნენ მასწავლებლის სახლიდან, რომ შესაბამისი ტრენინგები გამევლო. ჩაწერილიც ვიყავი, რეგისტრაციას მუდმივად გავდიოდი, მაგრამ ჩვენამდე რიგი ვერ მოვიდა. ამიტომ იძულებული გავხდი ჩემი თანხებით, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდა, სერიოზულ ორგანიზაციებში გამევლო ეს გადამზადება. თუ ესეც არ ითვლება კვალიფიკაციაში, მაშინ მე არ ვიცი, კიდევ რა უნდა გაკეთდეს.

**– თუ ბავშვი თქვენთან თავს კომფორტულად გრძნობს და შედეგიც გქონდათ, მაშ რა გახდა უკმაყოფილების მიზეზი და რატომ აღარ დაჰყავთ ბიჭი სკოლაში?**

– როგორც ასეთი ბავშვი გაყვანილად არ ითვლება, რადგან საბუთები არ გაუტანიათ, უბრალოდ აცდენენ. დღემდე ვერ ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ და რას ითხოვდნენ. თუ ასე სურთ, გადაიყვანონ სხვა სკოლაში და მერე ნამდვილად დაინახავენ, რას აკეთებდა ჟანა მასწავლებელი. თუ ოჯახი ფიქრობს და ზრუნავს ბავშვზე, უნდა ხედავდნენ, რომ ბავშვს იდეალური ურთიერთობა აქვს ჩემთან. მასწავლებელს ყველა თვალსაჩინო მასალა აქვს, რომ ნაყოფიერად იმუშაოს მასთან. სპეცპედაგოგი სწორად მუშაობს, თუ ოჯახი დაიცდიდა, ბავშვი უფრო დიდ შედეგზე გავიდოდა. რომ არ გაეცდინა, შესაძლოა დღეისთვის ოთხასოიანი სიტყვაც აეწყო. ძალიან დიდი მოტივაციით შევუდექი ინკლუზიურ სწავლებას. რესურსოთახის მოწყობისას საუკეთესო გარემო რომ შემექმნა, ავეჯი და გარკვეული ნივთები საკუთარი სახლიდან მოვიტანე. მინდოდა, თბილი და კარგი გარემო შემექმნა მათთვის. პასუხად ვიღებ გაუგებარ კამპანიას, რომელიც ჩემს იმიჯს აზარალებს. აღარ ფიქრობენ იმას, რომ ასე ჩემი უფლებები ილახება.“

*(გაგრძელება გვ 8)*

# აღმართ-დაღმართიანი გრძელი ცხოვრება კაცისა...

დიახ, ცხოვრება კაცისა, რომელმაც ავიც ბევრი ნახა და კარგიც და დღემდე მოვიდა, როგორც მემატიანე ძველი და ახალი ცხოვრებისა. სოფელ გამარჯვებაში სულ 3-4 კაცი თუ მოიძებნება, ვინც 90 წელს მიაღწია და გადააბიჯა. მათ შორის ერთ-ერთი **ალექსანდრე სტეაფნეს ძე სულაშვილი** გახლავთ. ის 1928 წლის 28 მარტს დაიბადა მირზაანში. თერთმეტი დედმაშვილიდან მეათე გახლდათ და, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, რომ გალაღებული და უზრუნველი ცხოვრება ვერ ექნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები – სტეფანე სულაშვილი და მარიამ ბერიძე მცდელობას არ აკლებდნენ ოჯახი ფეხზე რომ მდგარიყო. სულ პატარა იყო, მირზაანელები უწყლოობას და უგზოობას რომ გამოექცნენ, უზუნდრის კალოებზე დასახლდნენ და სახლ-კარიც აქ გამართეს. ჯერ კიდევ 13 წლისა უკანა მეხრე ვიყავიო, – იხსენებს, დღისით ხვნა-თესვაზე ნამუშევარი, ღამე მონდორში, ღია ცის ქვეშ, ხარებს ვდარაჯობდი, მეშინოდა მგლებს არ დავეგლიჯე და ორ-სამ ხარს შორის ვწვებოდი ფეხშიშველი და ტანთჩაუცმელი.

ამასობაში მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო. ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად სოფლიდან ყველა სრულფასოვანი და ჯანმრთელი მამაკაცი გაიწვიეს, მათ შორის ალექსის 3 ძმა, 5 სიძე და 2 ბიძა, საიდანაც არ დაბრუნდნენ 1 ძმა, 3 სიძე და ორივე ბიძა. ომიანობის, შიმშილისა და მოზარდისათვის გაუგონარი ჯაფის მთელი სიმძიმე საკუთარ მხრებზე გადაიტანა: ღოლოს, მჟაუნის, შინდის, ჭაჭის თხლის შეჭამანდებს თუ ერთი გუნდა „ქუმელიც“ დაემატებოდა, რომელიც დაღერღილ ქერზე მარილის მოყრით და ოდნავ დანამვით მზადდებოდა, ბედნიერი იყო. ეს შრომა იმით დაუფასდა, რომ 1946 წლის 11 მაისს, ფაშიზმე გამარჯვების ერთი წლისთავზე, ის დააჯილდოვეს „ომში გამარჯვების“ მედლით ზურგში შრომითი მამაცობისთვის. ეს იყო პირველი ჯილდო, რომელსაც შემდგომში მრავალი მედალი, სამკერდე ნიშანი, დიპლომი, სიგელი და ფასიანი საჩუქარი მოჰყვა ცხრა ათეული წლის მანძილზე.

შვიდწლიანი არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლის გაგრძელების არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა, ამიტომ შეთავაზებული ორი სპეციალობიდან – ტრაქტორისტობა ან მძღოლობა, მეორე აირჩია. 16 წლისას, დაჩქარებული წესით, „მძღოლის მოწმობა“ მისცეს და მას მერე, თითქმის ექვსი ათეული წელი, რკინასთან ჭიდილში გაატარა. მუშაობდა წითელწყაროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურში „ემტეესს“ რომ ეძახდა ხალხი, გამარჯვების კოლმეურნეობაში, მოვლილი აქვს სრულიად საქართველო, ამიერკავკასია, რუსეთის მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხნები, საიდანაც მანქანები ჩამოჰყავდა, ნაწილები და საბურავები მოჰქონდა, უზარმაზარი სამეგობრო- სანაცნობო წრე ჰყავდა, კომუნიკაბელური, გახსნილი და საჭიროების შემთხვევაში, თუ საქმეს წაადგებოდა, ცოტა „ეშმაკიც“ იყო და ურთიერთობებიც კარგად გამოსდიოდა. ამიტომ იყო, რომ ჯერ მარტო გამარჯვების კოლმეურნეობაში ავტოპარკის გამგედ 40 წლის მუშაობის მანძილზე 11 ავტომანქანიდან 75 ავტომანქანამდე გაზარდა მისი რაოდენობა, ამას უამრავი ტრაქტორი, მისაბმელი მოწყობილობა: გუთნები, ფარეხები, სათესები, კომბაინები და სპეცდანიშნულების ტექნიკა ემატებოდა მათი სათადარიგო ნაწილებით. მის თვალწინ აშენდა სოფელი გამარჯვება, თითოეული ქვისა და ხის ისტორია იცის, თითოეული ოჯახის ტკივილი და სიხარული გაუზიარებია, ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა მუდამ. კაცი, რომელიც, თავის უშაულო მოვალეობასთან ერთად, სულ მუდამ დაკავებული იყო საზოგადოებრივი საქმიანობით, იყო კოლემეურნეობის გამგეობის წევრი (გამგეობა მართავდა კოლმეურნეობას და ირჩევდა თავმჯდომარეს), სარევიზიო კომისიისა და სახალხო კონტროლის წევრი, სასოფლო-საბჭოს არაერთი მოწვევის დეპუტატი, კოლმეურნეობასთან არსებული ამხანაგური სასამრთლოს უცვლელი თავმჯდომარე, ოთხი მოწვევის საარჩევნო კომისიის თავჯდომარე და შტატგარეშე ავტოინსპექტორიც კი, სწავლისთვის მოიცალა და ტექნიკუმი დაამთავრა მექანიზაციის განხრით. რამდენი რამის მომსწრე, თვითმხილველი და მონაწილე იქნებოდა, ადვილი წარმოსადგენია. ამიტომ, უამრავი რამ აქვს გასახსენებელი და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველაფერი ახსოვს: როდის, საიდან, ვისი ხელმძღვანელობის დროს, გვარებით, სახელებით, მერკების დასახელების წარმოუდგენელი სიზუსტით, გვიყვება ყველა დეტალს თავისი ხანგრძლივი შრომითი თუ პირადი ცხოვრების შესახებ. მოდით, ბატონ ალექსისთან ერთად მიყვეთ მის მოგონებებს, ზოგს უსამართლოს და ტკივილიანს, ზოგს სასიამოვნოს და ტკბილად გასახსენებელს:

– 1947 წელს ფულის რეფორმა განხორციელდა. მაშინ მსუმბუქ ავტომობილს ვმართავდი. უამრავი ფული გადამქონდ-გადმომქონდა საბათლოსა და ქედების ზონაში, მაგრამ ისეთი დისციპლინა და დაუნდობელი დასჯის შიში იყო, ერთი შემთხვევაც არ მახსოვს დაყაჩაღების ან მოპარვის მცდელობისაც კი.

– სად არ ვიყავით მოდებულები, სად არ დადიოდა ჩვენი მანქანები, 1950 წლის ზაფხულში მარტო კოლმეურნეობის საზაფხულო საძოვრებიდან, ერთ სეზონზე, 30 გზობაზე მეტი ყველი ჩამოვიტანე ბოგდანოვკის რაიონიდან- ქურანჩიდან, ტაბაწყურიდან, წალკის რაიონიდან, ხევსურეთიდან–ბარისახოდან, შუაფხოდან, სადაც ჩვენი კოლმეურნეობის ათი ათასობით ცხვარი იმყოფებოდა საზაფხულო იალაღებზე.

– 1940 წელს მდინარე დურუჯმა ყვარელი დაანგრია, ღამე მძინარე ხალხი წყალმა წაიღო, დიდი იყო მსხვერპლი. გამოცხადდა მობილიზაცია, კახეთის ყველა რაიონიდან გაგზავნეს მანქანები და ხალხი ჯებირების გასამაგრებლად. ქვით შენდებოდა ჯებირი და როცა მიმდებარე ტერიოტორიაზე ქვა აღარ მოიპოვებოდა, სოფლებში, მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, მათ ქვით ნაშენ ღობეებს ვშლიდით და მაინც მდინარის კალაპოტს ვამარაგებდით. ასეთი იყო ბრძანება „ზევიდან“.

– ჩემი მეხსიერებიდან არ წაიშლება 1952 წელს, ეგრეთ წოდებული „მავნებლები“ რომ გადაასახლეს. პოლიციის და პროკურატურის წარმომადგენელთა ბრძანებით და მითითებით ჯერ ფერმებში ვეძებეთ ის კაცი, მერე არბოშიკში ჩავედით, სკოლას რომ გავცდით, ზევიდან ქალები მორბოდნენ ვიშ-ვიშით, წუხელის ხალხი წაუყვანიათო. ჩემი მანქანა არჩილ



ნანობაშვილის ეზოში შემაყვანინეს. გამოვიდა არჩილა, რაშია საქმეო. 15 წუთში გაემზადე, დაბარგდი მანქანაზე უნდა გადაგასახლოთო. ამ დროს „ვილისი“ მოგვადგა, რომელმაც თბილისიდან არჩილის მეოთხე კურსის სტუდენტი გოგო, სამედიცინოზე სწავლობდა, მოიყვანა. მთელი ოჯახი ტირილითა და თავში ცემით მანქანაზე დააბარგეს. ამასობაში სოფელიც მოგროვდა, ზოგი ფულს აძლევდა „ მავნებლებს“, ზოგი ტანსაცმელს, ზოგიც საჭმელს და ასე გადავიყვანეთ გურჯაანის რკინიგზის სადგურში. რაც მე იქ ვნახე, ჩემი მეხსიერებიდან დღესაც არ ამოდის. მთელი კახეთის რეგიონებიდან გადასახლებულებს აქ ერეკებოდნენ და სატვირთო ვაგონებში, სადაც ჯერ კიდევ ეყარა ნარჩენი სასუქი, ველური „სიბირიაკები“ სულ „ვინტოვკის“ კონდახის ცემით ჰყრიდნენ. მამაკაცებთან ერთად იყვნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები, იყო ტირილი და დამშვიდობების მძიმე სცენები. მანქანის კაბინიდან ვუყურებდი ამ საცოდაობას და მეც ვტიროდი იმათი ცოდვით და იმ ტკივილით, რომ შველა არ შემეძლო. ვიღაც მაიორმა შემნიშნა და მკაცრად მითხრა: – ეი, შენ, გრუზინო, რა გატირებს, ისინი მავნებლები და მოღალატეები არიანო. ვერ მოვითმინე და ვუთხარი: – ეს ბავშვები და მოხუცებიც მოღალატეები ხომ არ არიან, მათ რას ერჩით-მეთქი და ისე შემომიბღვირა, შენ ჭკვიანად იყავ, არაფერი გამომტუყოო, რომ უფრო დავრწმუნდი, აზრი არ ჰქონდა ჩემს ლაპარაკს. მერე, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიის მთებში ფორე მოსულიშვილის და სხვა ქართველი ვაჟკაცების გმირობის ამბავი გამომჟღავნდა, ერთ-ერთ წიგნში წავიკითხე, რომ არჩილ ნანობაშვილიც ერთ-ერთი იმ მებრძოლთაგანი ყოფილა. ალბათ, ეს იყო მისი „ღალატი“.

– ძალიან კარგად მახსოვს 1952-53 წლებში მთიდან ხევსურების ჩამოსახლების ამბავიც. მაშინ ლოზუნგით „ბარს დაუბრუნდა მთიელი“, ბევრი მთის სოფელი დაიცალა, რაც ძალიან დიდი შეცდომა იყო. არავინ იფიქროს, რომ ხალხს იქიდან წამოსვლა ნატვრად ჰქონდა ქცეული. ეს პარტიისა და მთავრობის „ხალხზე ზრუნვის“ კიდევ ერთი გამოხატულება იყო, თორემ აქეთ წამოსვლის მსურველი იშვიათი ვინმე იყო. ჩვენი მანქანები ბარისახოსა და შუაფხოში გაჩერდა. ჩამორეკეს ხალხი მთებიდან. ტიროდნენ, მარტო მარილითა და ნავთით მოგვამარაგეთ, სხვა თქვენი არაფერი გვინდა, თავი გაგვანებეთო. ზოგი არხილოსკალოში ჩავიყვანეთ, ზოგი წითელწყაროსა და გამარჯვებაში. ხალხი კითხულობდა, აქ, ამ უდაბნოში რა უნდა ვაკეთოთ (მთის სილამაზეს მიჩვეულებს აქაურობა უდაბნოდ ეჩვენებოდათ) მწვანილს ხომ არ მოვიყვანოთო, უკან დაგვაბრუნეთო. კოლმეურნეობა რა იყო, არც კი იცოდნენ. უფროს თაობას გაუჭირდა შეგუება, მერედა მერე ახალგაზრდობა მიეჩვია, ახლა ჩვენი სოფლის უმეტესობას თუ არა, ნახევარს მაინც ხევსურები წარმოადგენენ. შევეგუეთ, აღარც გავირჩევით ერთმანეთისაგან, მაგრამ მთა რომ დაიცალა და ახლა იხვეწებიან, ორ-სამ კომლიანი სოფლები შევავსოთ, დაბრუნდითო, ვიღა დაბრუნდება, მთის მკაცრ ცხოვრებას გადაეჩვივნენ, ბუნებრივია, რომ იქაურობის სიყვარულიც თანდათან გაუნელდათ. ეს დიდი შეცდომა იყო იმდროინდელი მთავრობისა.

– ამასწინათ, თქვენს გაზეთში წავიკითხე ილია მარტყოფლიშვილის წერილი, რომელიც ვაშლოვანში ქურციკების, იგივე ჯეირნების შეყვანას ეხებოდა. ვაი, დედასა, ვაშლოვანსა და ივრისპირეთში ფარა-ფარა დადიოდნენ უმშვენიერესი ჯეირნები. ვინ აქცევდა ყურადღებას და სად იყვნენ ამდენი ბუნების ქომაგები, თითო-ოროლა მეტყევე იყო და ისიც ისეთი დაშინებული, ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას, როცა რაიკომის მდივნები, მილიციის უფროსები, მოსამართლეები თუ პროკურორები თავისი ზემდგომი ხელმძღვანელების საამებლად დიდ პურ-მარილებს აწყობდნენ, შემდეგ კი სანადიროდ ეპატიჟებოდნენ და უმოწყალოდ ანადგურებდნენ უნიკალურ ფლორასა და ფაუნას. ხან კი დაუღლელად და აქ ჩამოუსვლელად უგზავნიდნენ სახლებში. 1952 წელი იყო, „ემტეესში“ ვმუშაობდი. კვირა დღეს დირექტორმა გამომიძახა და მითხრა: რაიკომთან მიდი და იქ გეტყვიან, სად მიდიხართო. გამოვიდა რაიკომის მდივანი, ნამდვილად კარგი კაცი იყო, რაიონის გულშემატკივარი, გვარს არ ვასახელებ, მის შთამომავლობას არ მინდა გული ვატკინო. სანადირო იარაღი გამოიტანა და მითხრა, ჯერ სამუხში წავიდეთო, ჩავედით და ველზე გაშლილი 500-მდე სული ჯეირანი პირველად დავინახე, ისეთი ლამაზები და მარდები იყვნენ, მანქანით ძლივს ვეწეოდით, უცბათ მიკლა 5 სული. ერთი კვირის შემდეგ ისევ წავედით, 7 სული მოკლეს, ორი დღის შემდეგ – 12 (8 დიდი და 4 ციკანი). მოვბრუნდებოდით ხოლმე რაიონში, მე ჩამომსვამდნენ და სად და ვისთან მიჰქონდათ ის ნადავლი, არ ვიცი, მაგრამ კარგად მახსოვს რაიკომის მდივნის პასუხი – დავალებას ვასრულებო. ჰოდა, ამ ზევიდან მოსულმა დავალებებმა წაახდინა საქმე. ყველა დიდი კაცის და ჩინოსნის სურვილსა და ხუშტურებზე სიარულმა დაანგრია ის ქვეყანა, რომელიც, თუ კარგად მოვუვლით და პატიოსნად ვიმსახურებდით, ხალხის მასებისთვის ცუდი არ იყო. ახლა ცოტა ვინმეა კმაყოფილი, უმრავლესობა კი - გაჭირვებული. მაშინ საშუალო დონეზე ყველა ცხოვრობდა, უმუშევრობა არ იყო, ვისაც უნდოდა და შეეძლო, უფასოდ სწავლობდა, სამედიცინო მომსახურებაც ხელმისაწვდომი იყო. ჩვენ, ხალხმაც ბევრი რამ დავაშავეთ. ჩემი და მთელი სოფლის მონაწილეობით აშენდა შესანიშნავი კულტურის სახლი გამარჯვებაში, ახლა ის გაპარტახებული და გავერანებულია. ეს ვიღაცა გადამთიელმა ხომ არ გააკეთა, ეს ჩვენ გავაკეთეთ. მე ვიყავ ბოლო კოლმეურნე, რომელმაც თავისი ფუნქცია ამოწურა და დავემშვიდობე იმ ავტოპარკს, რომელსაც 40 წელი რუდუნებით ვაშენებდი. რა ქონება განიავდა, გაიფანტა საზოგადოებაში და უსარგებლო გახდა. ოცი წელია, იმ ტერიტორიაზე შეგნებულად არ გამივლია, ამბობენ, სულ დანგრეულიაო იქაურობა, არ მინდა ვნახო, გული გამისკდება, მინდა, ისეთი მახსოვდეს, როგორიც ავაშენე და დავტოვე. კარგიც ბევრი რამ მახსოვს: ექსკურსიები მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, უფასოდ დასასვენებლ კურორტებზე მივლინება პროფკავშირების ხარჯებით, ზეიმები, დღეობები და სხვა მრავალი. როცა 1956 წელს მოწინავე მექანიზატორები მოსკოვში სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მიგვავლინეს 10 დღით, ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. კრემლის დარბაზებმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, ვნახე 200 ტონიანი ზარი და 40 ტონიანი ზარბაზანი, სასოფლო -სამეურნეო იარაღების მუზეუმი, სადაც ფიწალი, წალდი, და ცულიც კი არ დავიწყებოდათ და სხვა მრავალი.

ეს და სხვა მრავალი საინტერესო და საგულისხმო ამბავი გაიხსენა ალექსი სულაშვილმა, მაგრამ ყველაფრის ერთ საგაზეთო წერილში მოთავსება შეუძლებელია.

ახლა კი ბატონი ალექსის პირად ცხოვრებას მივუბრუნდეთ: - 1948 წელს, 20 წლისაც არ ვიყავ, ცოლი რომ შევირთე. ჩემი რჩეული, მაყვალა ფიროსმანაშვილი, ჩემივე სოფლელი და მეზობელი გახლდათ. ის 18 წლის იყო. მისი მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ, ჩვენ გავიპარეთ და ფაქტის წინაშე ველარაფერი გააწყეს. რამდენიმე წელში მამა გარდამეცვალა, დედა ხშირად ავადმყოფობდა, გვიჭირდა, ერთი პატარა, ძველი სახლი გვქონდა. ახალი სახლის ასაშენებლად სახსრები არ მქონდა, ამიტომ, სადაც დიდ და კარგ ქვას ვნახავდი, მანქანაზე ვდებდი და სახლში მომქონდა, – იხსენებს იმ გაჭირვების წლებს, რომლის შემდეგაც ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი აღმართ-აღმართის გადალახვა მოუწია, 90 წელი ცხოვრების დიდი გზაა, რომელიც სიხარულისა და ტკივილისაგან შედგება. ბედნიერი იყო პირველი ვაჟი რომ შეეძინა, გვარის გამგრძელებელი და მემკვიდრე. დარმანტის ქალიშვილი თინათინი მოჰყვა. იზრდებოდნენ ბავშვები და ოცნებებიც ფრთებს ისხავდა. ზრდილი, წესიერი, შრომისმოყვარე ადამიანები დადგნენ. დარმანტიმ უმაღლესი განათლება მიიღო და ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომით სოფელს დაუბრუნდა. იყო კოლმეურნეობის ინჟნერი, თავმჯდომარის მოადგილე, სახალხო კონტროლის პირველადი ორგანიზაციის თავჯდომარე, სარევიზიო კომისიის თავჯდომარე, ბოლო წლებში საკუთარ მეურნეობას უძღვება. მისი მეუღლე, ნანა ლეკაშვილი კოლმეურნეობაში ბუღალტრად მუშაობდა. ქალიშვილი – თინათინი, რამდენიმე ათეული წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარია. კარგი და დაფასებული სპეციალისტია. უყვართ თანამშრომლებს და მკითხველებს, რომლებსაც ის ემსახურება.

ტკივილის გარეშე განა ვის უცხოვრია და ბატონი ალექსის გულსაც ღრმა და მოუშუშებელ იარად ატყვია პირველი შვილიშვილის, 1 წლის მაკას გარდაცვალება და დიდი ტრაგედია, როდესაც მისი კიჟანდარი შვილიშვილი, 24 წლის უმშვენიერესი ვაჟკაცი, პაპის მოსახელე ალექსანდრე, ალიკა, როგორც მას ყველა ეძახდა, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ეს დიდი ტკივილი დღესაც სევდის ღრუბლად აწევს დიდ ოჯახს, რომელსაც სასიხაროლოც ბევრი აქვს, რადგან „ჭირი და ლხინი ძმები არიან“. უფროსი შვილიშვილი, დავითი სპეციალობით მამა-პაპის კვალს გაჰყვა. ის სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსია, სოფელში ერთ-ერთი გამოცდილი და ძლიერი ფერმერია, მისი მეუღლე, მარინა ზურაბაშვილი ექიმი-სტომატოლოგია და სოფელ გამარჯვებაში მუშაობს. სამი შვილი ჰყავთ დავითს და მარინას. ბატონი ალექსის და ქალბატონი მაყვალას დიდ სიხარულს და ცხოვრების სტიმულს სწორედ შვილთაშვილები ანიჭებენ. ბებიის მოსახელე ნანა აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია, მისი მომდევნო ნინო XI კლასშია, დიდი პაპის მოსახელე ალექსანდრე კი - მეშვიდეკლასელია. სანაქებო ბავშვები არიან, გარდა იმისა, რომ კარგად სწავლობენ, ღმერთმა სიმღერის, ცეკვის თუ სპორტული ნიჭით დააჯილდოვა ისინი. მათ არაერთ ქვეყანაში გამართულ კონცერტებსა თუ სპორტულ ღონისძიებებში მიუღიათ მონაწილეობა და წარმატებულადაც.

ბატონი ალექსის მეორე შვილიშვილი – ლევანი, თბილისში ცხოვრობს, ისიც, ტრადიციულად, ინჟინერია და ბიზნეს საქმიანობას ეწევა.

როგორც ზემოთაც გითხრით, ორიოდ დღეში, 28 მარტს, ალექსი სულაშვილს 90 წელი უსრულდება, ქალბატონ მაყვალას კი 25 აპრილს – 88 წელი. ივნისის თვეში მათი ქორწინების 70 წლისთავია. ასე რომ, 2018 წელი მრავალგზის საიუბილეოა ამ დიდი და ლამაზი ოჯახისათვის. ოჯახს ჯერ კიდევ თავკაცობს ბატონი ალექსანდრე, რომელსაც არც მხნეობა აკლია, არც მეხსიერება ღალატობს და იმედს გამოვთქვამთ, კიდევ მრავალ წელს მივულოცავთ.

ბედნიერება არ მოგკლებოდეთ, უფლის წყალობა და სიხარული.

ნაირა გორაშვილი




## 1978 WLIS MARTI

● `WITELWYAROS CENTRALUR SEMNAXVEL SALAROSI OZAANELMA KOLMEURNEM GIORGI IVANES ZE BENASVILMA WARMOADGINA SAR-VAMARTO LATARIIS BILETI, ROMELMAC MOIGO AVTOMANQANA `JIGULI~ _ 21011~. ES PIRVELI SEMTXVEVA AR ARIS, ROCA CVEN RAIONIS MSROMELEBI LATARIIS BILETE-BIT DIDI TANXIS RIREBULEBIS NIVTEBS IGEBEN,~ - ATYOBINEBS REDAQCIAS WITELW-YAROS RAIONIS CENTRALURI SEMNAXVELI SALAROS GAMGE R. ATANELISVILI.

● MALE QALAQ WITELWYAROS KIDEV DAAM-SVENEBS ERTI AXALI XUTSARTULIANI SA-CXOVREBELI BINA, ROMELSAC SOFLMSENIS MOZRAVI MEQANIZEBULI KOLONA ASENEBS MEFRINVELEOBIS SAMREWVELO GAERTIANEBIS WITELWYAROS REPRODUQTORIS MUSA-MO-SAMSAXUREEBISTVIS.



● MATAREBELI WITELWYARO-TBILISI SO-FEL GAMARJVEBIS `BAQANTAN~ GACERDA. BAQANI KI VAXSENET, MAGRAM GAMARJVEBELEBS BAQANI SADA AQVT. ASTROLOGEBI WINASWARMETYVE-LEBEN, ROM XXI SAUKUNESI MAINC EQNEBAT. VAGONI GACERDA DA GAMOCNDA OCAMDE QAN-DAKEBA CAEMWKRIVEBINAT - SXVADASXVA ASAKIS QALIS, KACIS DA BAVSVIS. TOVLISGAN -GA DATETREBULI MINDVRIS FONZE LENINGRA-DIS ERMITAJI DAGVIDGA TVALWIN. YVELA QANDAKEBAS TAVZE DA MXREBZE DAXVAVEBULI TOVLI ISE AMSVENEBDA, ROGORC MECXVA-RES BATKNIS TYAVIS TETRI FAFAXI. UCEB QALIS KIVILMA GAMOGVIYVANA AM BURANIDAN: - USVELET, XALXI GAYINULA! MAMAKACEB-MA OCIVE QANDAKEBA VAGONSI AMOVATRIET. WAVIDA ZELA-SRESA, QOTQOTI... VIRAACAM SVILIS LEQTORISTVIS QRTAMAD MISATANI ARAYI GAMOACINA, VAGONIS SITBOMAC IMO-QMEDA DA YVELA GAYINULI MOVABRUNET. MATAREBLIS GAMCILEBELMA ERTERT ELE-GANTURAD CACMUL KACS USAYVEDURA - MAS WESIERI MOSACDELI AR UNDA GQONDETO? AM YIAMATSI SUL ROM AR DAIXOCET, ESEC SAKVIRVELIAO! ELEGANTURMA KI UPASUXA, KOLMEURNEOBIS KREBAZE DAVADGINET, AQ BAQANI GAVAKETOT, VISAC SOFELSI DIDI SAXLI UDGAS, TITO QVA GAMOVACALOT DA AQ MOSACDELI AVASENOTO.WLEVANDELI ZAMTARI UKVE GADAVAGORET, MOMAVAL ZAM-TRAMDE KI JER SORSAA. KARGA XANS ARAR MOGVIWEVS BAQANZE CAMWKRIVEBUL QANDAKE-BATA XILVA.

● QALTA SAERTASORISO DRES, 8 MARTS ARNAXULAD MARALI SROMITI MACVENEBLE-BIT SEXVDNEN WITELWYAROS RAIKOOPE-RATIVIS QALI MOSAMSAXUREEBI. SAAMQROS UFROSMA VASIL GURGENIZEM SOCIALISTU-



RI SEJIBREBIS SEDEGEBI GAACNO MUSEBS.

● JAFARIZIS SKOLIS MEATEKLASELEBMA SO-FLIS KULTURIS SAXLSI CAATARES SIMAMA-CIS GAKVETILI. PEDKOLEQTIVTAN DA AXAL-GAZRDOBASTAN ERTAD MOWVEULNI IYVNEN SOFLIDAN SAMAMULO OMIS MONAWILENI. MOSWAVLEEBMA WARMOADGINES MXATVRULI MONTAJI `WABUKEBI DARCNEN MARAD~. RO-NISZIEBIS DASASRULS KI OMIS VETERANEBMA GAIXSENES TAVIAANTI SABRZOLO DA MAMA-CURI EPIZODEBI.

● GULAXDILAD UNDA VARIAROT, ROM SOFELI ZEMO QEDI JER KIDEV SORS DGAS SANIMUSO WESRIGIS SRULYOFISGAN. JER KIDEV AQVS ADGILI SAMARTALDARR-VEVEBS: SAKOLMEURNEO QONEBIS WVRILMAN QURDOBAS, LOTOBAS, AVTOAVARIEBS. BEVRI DARRVEVA NASVAM MDGOMAREOBASIA CADENI-LI. AMIS GAMO XSIRAD ACDENEN SAMUSAOS. ISMIS KITXVA: SAD TVREBIAN ES ADAMIANEBI? SAXLSI TU SASADILOSI? ADAMIANTA DIDI MASA UFRO KOLEQTIURAD ITVREBA DID QELEXEBSA DA QORWILEBSI. AM SUFREBIS GRANDIOZULI MASSTABEBI SIMAXINJEMDE MI-DIS DA IGI UCXOA SABWOTA ADAMIANIS MORALISA DA CVEVISTVIS. AM SAQMESI -DE-PUTATEBTAN DA SOFLIS AQTIVTAN ERTAD MXARI UNDA AGVIBAN SAXALXO KONTRO-LIOREBMAC. MATI FXIZELI TVALI YVELGAN UNDA MISWVDES, RATA SOFEL ZEMO QEDSI SANIMUSO WESRIGI DAMYARDES.

● SOFEL JAFARIZIS KOLMEURNEOBIS ME-VENAXEEBMA RAIONSI PIRVELEBMA GAASENES AXALI VENAXI. ASENEBEN MARALSTAMBIAN, FARTORIGIAN VENAXEBS. AM METODIS UPI-RATESOBA IS ARIS, ROM VENAXEBI ADVILI DASAMUSAVEBELI DA MOSAVLELIA. MCENA-REEBS AQVS KARGI HAERACIA DA MAVNEBE-LI DAAVADEBEBI ADVILAD AR VRCELDEBA. ASETI ZVREBI, CVEULEBRIVTAN SEDAREBIT, GACILEBIT MET MOSAVALS IZLEVA.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# „ვეფხისტყაოსანი“ და მომავალი თაობა



მშობლიურ სკოლაში ჩემი ქართულის პედაგოგის, ელიზა შიუკაშვილის ღია გაკვეთლის სტუმარი ვარ. თემა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“. სკოლის საუკეთესო მოსწავლეების მიერ თამარის ეპოქის გაცოცხლება მეტად დამაჯერებელი და საინტერესო იყო, რადგან მოსწავლეები „ვეფხისტყაოსანს“ზეპირად გადმოგვცემდნენ. ამ სკოლის საამაყო მოსწავლეები სალომე თარაშვილი და ნინო მეხრიშვილი შეუფერხებლად და მხატვრულად კითხულობდნენ.

ღია გაკვეთილს გიორგი მეხრიშვილი იწყებს და აკეთებს ვრცელ მიმოხილვას შოთა რუსთაველის ცხოვრების და მისი მსოფლიო შედევრის – „ვეფხისტყაოსანის“ ირგვლივ. მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიული ელემენტების შემოტანა, სამეფო და სადედოფლო ტანისამოსით შემკობილი მოსწავლეების გამოსვლა უკვე ცხადყოფდა, რომ მათ „ვეფხისტყაოსანი“ არათუ ისწავლეს, არამედ მთელი არსებით გაისიგრძეგანეს ის ეპოქა.

ვუყურებდი მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს: გიორგი და ნინო მეხრიშვილებს, სალომე თარაშვილს, ვანო კოხტაშვილს, თომა მარტყოფლიშვილს, გიორგი ჩალახეშაშვილს და მათი სახით ვგრძნობდი, რომ ჭეშმარიტი ნიჭიერება სწორედ ასეთ პატარა სოფლებში იბადება. პედაგოგის შრომა ამ თაობის აღზრდის საქმეში, უდაოდ დიდია.

მახსენდება იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „ქართველი ხალხი ყოველთვის ამაყობდა მისით და საუკუნეების მანძილზე საუკეთესო მზითვადაც სწორედ „ვეფხისტყაოსანს“ თვლიდა. ასეთი განძი ადამიანისათვის დიდ სიმდიდრედ მიიჩნეოდა, მით უმეტეს, თუ ადამიანმა ის ზეპირადაც იცოდა, ასეთები კი ბევრნი იყვნენ. „ვეფხისტყაოსანს“ ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ შვილებს.“.. და მართლაც, სანამ „ვეფხისტყაოსანი“ იცის ქართველმა, მანამდე ჩვენს ერს გადაშენება არ უწერია.

ლალი მეხრიშვილი

# კვლავ წარმატებით ვიასპარეზეთ



ქალაქ თბილისში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ძალისმიერ სამჭიდში „RON EVRASIA_2018“, რომელშიც 200 -ზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა ირანიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან. ამ შეჯიბრზე პირველად 3 კაციანი გუნდით იასპარეზა ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც. დედოფლისწყაროს კლუბი "ლეგიონი" 8 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი და, როგორც ყოველთვის, მაღალი შედეგები აჩვენა: 7 პირველი და 1 მეორე ადგილი. შეჯიბრი ორივე სახეობაში- წოლჭიმში და ამოქაჩვაში ჩატარდა GPA და IPA-ს წესებით.13 წლის ნუკრი ქოზაშვილმა, როგორც ყოველთვის, ფეხბედნიერად იასპარეზა და პირველი ადგილი მოიპოვა. მას შემდეგ 14 წლის მიშიკო ზუბიაშვილმაც იმარჯვა და თავის წონაში I ადგილი დაიკავა. პირველი ადგილის მფლობელი გახდა 16 წლის ელთაჯი ისკანდეროვიც, რომელმაც მხოლოდ მეორედ მიიღო ასეთ დიდ ტურნირში მონაწილეობა. საინტერესო და ვაჟკაცური გამოსვლა ჰქონდა 18 წლის თედო ვარდიშვილს, რომელიც არ შეუშინდა ირანელი მსაჯის "კაპრიზებს "(ხან ჯვარი მოიხსენიო, ხან ქამარი შეიცვალეო) , უმაღლესი შედეგი აჩვენა და პირველ ადგილსაც დაეუფლა. შესანიშნავად იასპარეზა და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია 21 წლის ვასიკო ჩივაძემ. ის ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში და მისთვის პირველი ადგილის მოპოვება არც ისე რთულია. შეჯიბრზე თავი ისახელა ოთარ გავაშელიშვილმა, რომელიც, მართალია, ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, მაგრამ უკვე 83 კგ. წონით კატეგორიაში გამოდის. მან პირველი ადგილი ღირსეულად მოიპოვა. შესანიშნავად იასპარეზა 70 კგ. წონით კატეგორიაში ქამილან ისმაილოვმა და პირველ ადგილს დაეუფლა. მეორე ადგილს დასჯერდა ზუკა ნიპომნიშევა, რომელმაც პირველი ადგილი თანაგუნდელ ნუკრი ქოზაშვილთან წააგო. საბოლოო ჯამში, ჩვენი გუნდი, უკვე მეორე წელია, ძალისმიერ სამჭიდში გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობს და პირველ ადგილს არავის უთმობს, რისთვისაც მადლობას ვუხდი სპორტსმენებს, მაგრამ აქვე დავძენ, რომ ეს მიღწევები მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და საჭიროა ინტენსიური ვარჯიში. ვარჯიშთან ერთად კლუბს ხელისშეწყობაც სჭირდება. ვთხოვ რაიონის ფერმერებს და მიწათმესაკუთრეებს, ფინანსური დახმარება გაგვიწიონ, რითაც ხელს შეუწყობენ ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას, ჟანსაღ სხეულში კი ჯანსაღი სული დგას. მინდა, მთელი კლუბის სახელით მადლობა ვუთხრა დედოფლისწყაროს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის დირექტორს აკაკი ნატროშვილს, რომელმაც, მოგვცა შესძლებლობა , ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრში მონაწილეობა მიგვეღო და ჩვენი შესაძლებლობები გამოგვევლინებინა.

მიხეილ სეხნიაშვილი,
**კლუბ „ლეგიონის“ მთავარი მწვრთნელი.**

# ყურადღება: სიახლეა!

**თუ გსურთ, ჯანმრთელი და ტანადი მომავალი თაობა გვყავდეს, ყურადღებით გავეცნოთ ამ განცხადებას:**

**ბავშვთა მასაჟის სპეციალისტი ექიმი** ლალი ალადაშვილი **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იწყებს საპროფილაქტიკო გასინჯვების, სამკურნალო მასაჟისა და ვარჯიშების მომსახურების პროგრამის განხორციელებას.**

პროგრამა ვრცელდება შემდეგ პათოლოგიებზე:

დისპლაზია, ქვედა კიდურების დეფორმაციები, ბრტყელტერფიანობა, ტერფ-მრუდობა, კისერ-მრუდობა, გულ-მკერდის ნებისმიერი ტიპის დეფორმაცია, სქოლიოზები (ყველა ხარისხის), კიფოზი, კიფო-სქოლიოზები, ნებისმიერი თანდაყოლილი ძვალ-კუნთოვანი პათოლოგია, რომელიც ექვემდებარება კონსერვატიულ მკურნალობას – ლორდოზი, ზოგად-გამაჯანსაღებელი მასაჟის პროცედურებზე. (გაკაჟება ხშირად მოავადე ბავშვებისთვის); ტრავმის შემდგომი რეაბილიტაცია (კონტრაქტურები, ატროფიები); პოსტ-ოპრერაციული რეაბილიტაცია.

მნიშვნელოვანია ბავშვთა ასაკში პათოლოგიის ნაადრევი გამოვლენა. დაგვიანებული დიაგნოსტირება ართულებს მკურნალობის პროცესს და სასურველი შედეგის მიღებას. იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ მომავალ თაობას ძვალ-სახსროვანი სისტემის პათოლოგიების ნაადრევ დიაგნოსტირებაში და ხელი შევუწყოთ ტანდეგობის ჩამოყალიბების ფიზიოლოგიურ პროცესს, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2018 წლის 31 მარტს ჩატარდება 0-დან 14 წლის ჩათვლით ბავშვებთა და მოზარდთა საპროფილაქტიკო გასინჯვების უფასო პროგრამა.** პროგრამა ორიენტირებული იქნება ორთოპედიული პათოლოგიების ადრეული დიაგნოსტირებისა და რისკ-ფაქტორების გამოვლენისაკენ.

**პროგრამის ფარგლებში უფასო იქნება:**

ბავშვთა მასაჟის სპეციალისტის კონსულტაცია და სამკურნალო მასაჟის და ვარჯიშების 5 პროცედურა (საჭიროების შემთხვევაში)

თუ გაქვთ ძვალ-სახსროვანი სისტემის რაიმე ტიპის ჩივილები და თვლით, რომ თქვენს ბავშვს ესაჭიროება კონსულტაცია, დაგვიკავშირდით ტელეფონებზე

593 18 75 40, ან 568 41 65 85, ლალი ალადაშვილი. შეხვედრის ზუსტი დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ მითითებული ტელეფონით.

გისურვებთ ჯანმრთელობას!!!

# „ახალგაზრდული იდეა“ კვლავ აქტუალურია

***„დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეა“ მუშაობას კვლავაც აქტურად განაგრძობს. გასულ კვირას ევროპის ფონდმა სკოლის მოსწავლეების მორიგი პროექტები დააფინანსა. 20-ზე მეტი პროექტიდან ახალგაზრდებმა 5 საუკეთესო იდეა შეარჩიეს და მათ განხორციელებას მხარი დაუჭირეს. ტრადიციულად პროექტის ავტორებს საგანგებო შეხვედრაზე აჯილდოვებენ და სიმბოლურ ჩეკს გადასცემენ. ასე იყო წელსაც.***

როგორც „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეას“ წევრმა **ზურაბ გოგოშვილმა** „შირაქს“ განუცხადა, ორგანიზაციის დედოფლისწყაროს კომიტეტი ყოველთვის მოწინავე იყო ქვეყნის მასშტაბით. მისი შეფასებით, წლევანდელი წელიც გამორჩეულია, რადგან პირველად მოხერხდა, როცა ჯამში 10 000 ლარამდე დაფინანსება გამოიყო და ასევე პირველად სხვა სპონსორის ჩართვაც მოხერხდა.

„გასულ წელს საქართველოს მასშტაბით ჩვენი კომიტეტი პირველ ადგილზე გავიდა. წლევანდელი სტარტიც საკმაოდ წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან პროექტებისთვის გაცილებით მეტი თანხა დაიხარჯება, ვიდრე ეს წინა წლებში ხდებოდა. წელს პირველად მოხერხდა საკმაოდ მსხვილი ორგანიზაციიდან თანადაფინანსების მოპოვება, რომელიც სოფელ ხორნაბუჯის სკოლაში დაგეგმილ პროექტს მოხმარდება. 20-ზე მეტი პროექტის განაცხადი გვქონდა, რომელთაგან კომისიამ საუკეთესოები შეარჩია და დააფინანსა. გამარჯვებულ ავტორებს 1 თვიანი ვადა აქვთ გეგმების განსახორციელებლად. ჩატარდა მოქალაქეთა გამოკითხვა, გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რის მიხედვითაც პროექტები შეადგინეს. წელს კვლევამ აჩვენა, რომ დედოფლისწყაროში მოქალაქეებს აწუხებთ გარემოს დაცვის, წყლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, განათლების დონე სკოლებში და ასევე ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება სკოლებში. „ახალგაზრდულ იდეაში“ მიღებული გამოცდილება სამომავლოდ ბევრს გვაძლევს და უნარების განვითარებაში გვეხმარება. ალბათ ამიტომ, უკვე ორი წელია, „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეას“ წევრებს შენიშვნა აღარ მიუღიათ,“ – ამბობს ზურაბ გოგოშვილი.

წელს ყველაზე მასშტაბური პროექტი სოფელ ხორნაბუჯის რუსულ-ქართულ საჯარო სკოლას შეხვდა. როგორც გაირკვა ევროპის ფონდის გარდა მათ პროექტს კიდევ ერთი სპონსორი გამოუჩნდა. როგორც პროექტის ავტორმა **ნინი ვარდაშევმა** გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ევროპის ფონდმა მათ 800 ლარი გამოუყო, ამას გარდა მათ პროეტს ერთერთი მსხვილი ორგანიზაცია **HEKS EPER**-ი დამატებით 9 000 ლარით დააფინანსებს და 200 ლარს თავად სკოლა დაუმატებს.

„გვინდა, რომ ინგლისური ენის კაბინეტი კეთილმოვაწყოთ. ხორნაბუჯის სკოლაში ინგლისური ენის კაბინეტი არსებობდა, მაგრამ გაუქმებულია და იქ ერთერთი კლასია შეყვანილი. გვინდა, მოხდეს კლასის რეაბილიტაცია და შევიძინოთ სხვადასხვა საჭირო მასალა. მიღებული თანხით იგეგმება კომპიუტერული და ელექტრო ტექნიკის, საჭირო სახელმძღვანელოების შეძენა. სხვა პროექტებისგან განსხვავებით ჩვენ რამდენიმე დონორის მოძიება შევძელით და ბედნიერები ვართ, რომ ეს მოხერხდა. ვფიქრობთ, რომ პროექტის დასრულების შემდეგ ხორნაბუჯის სკოლას ერთერთი საუკეთესო ინგლისური ენის კაბინეტი ექნება,“ – აღნიშნა ნინი ვარდაშევმა.



**ანასტასია ყოჩიაშვილი** ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეა. მისი პროექტის მიხედვით მისსავე სკოლაში გეოგრაფიის კაბინეტი უნდა გარემონტდეს. ანასტასია ფიქრობს, რომ კაბინეტის კეთილმოწყობა და მისი თანამედროვე თვალსაჩინოებებით აღჭურვა ამ საგნისადმი მოსწავლეების ინტერესს კიდევ უფრო გააღვივებს და სწავლის ხარისხი გაუმჯობესდება.

„პროექტის განსახორციელებლად 520 ლარი გადმოგვეცა. ჩვენი იდეის მიხედვით, რომელმაც გაიმარჯვა, შეიღებება გეოგრაფიის კაბინეტი. გათვალისწინებულია სხვადასხვა შინაარსის მსოფლიო რუქების, გლობუსის და სხვა ინდივიდუალური სამუშაო მასალის შეძენა. მიგვაჩნია, რომ ამით ჩვენი სკოლის განვითარებაში წვლილს შევიტანთ და დაინტერესებულ მოსწავლეებს დავეხმარებით მრავალფეროვანი და კომფორტული გახდეს მათი სასწავლო პროცესი,“ – აღნიშნავს გამარჯვებული პროექტის ავტორი.

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის კიდევ ერთი მოსწავლე **დიანა ტოროსიანი,** თანამოაზრეებთან ერთად, იმ ფაქტზე წუხს, რომ მათი სკოლის საპირფარეშოებში საშინელი პირობებია. მოზარდები პრობლემამ იმდენად შეაწუხა, რომ გადაწყვიტეს, განათლების სამინისტროს ნაცვლად მის მოწესრიგებაზე თავად ეზრუნათ და საჭირო ფინანსებიც დამოუკიდებლად მოეძიებინათ. ამ მიზნით სპეციალური პროექტიც შეადგინეს და ახალგაზრდულ იდეას წარუდგინეს, რომელმაც დაფინანსება მოიპოვა და მრავალწლიანი პრობლემის გადაჭრაც დღის წესრიგში დადგა. დიანა ტოროსიანის პროექტი სკოლის ეზოში მდებარე საპირფარეშოს კეთილმოწყობას ითვალისწინებს.

„საშინლად ცუდი მდგომარეობაა სკოლის საპირფარეშოებში, რაც ყველას გვაწუხებდა. რადგან სკოლამ და სამინისტრომ საჭირო თანხები ვერ გამოძებნა, გადავწყვიტეთ, ბავშვებს გვეზრუნა მის კეთილმოწყობაზე. ამჯერად ჩემი პროექტის დაფინანსება საშუალებას მოგვცემს, საპირფარეშოში მილები დავამონტაჟოთ და წყალიც შევიყვანოთ. სველი წერტილების კეთილმოწყობა ყველა მოსწავლისთვის სანატრელი საკითხია და მიხარია, რომ ამის მოგვარებას შევძლებთ. ამისათვის „ახალგაზრდულმა იდეამ“ 777 ლარით დაგვაფინანსა. სკოლამაც გვირჩია, ამ საკითხზე პროექტი დაგვეწერა,“ – აღნიშნავს X კლასის მოსწავლე დიანა ტოროსიანი.

**მარიამ ბულულაშვილის** პროექტის მიხედვით დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ისტორიის კაბინეტის აღჭურვა იგეგმება. მისი თქმით, სკოლაში კაბინეტი უკვე არსებობს და გარემონტებულია, თუმცა, მათი დახმარებით სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება. მიზანი კი ისაა, რომ მოსწავლეებმა ჩვენი ქვეყნის ისტორია უკეთ შეისწავლონ და მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეთ. მათი პროექტი 440 ლარით დაფინანსდა.

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში ქიმიური ფესტივალი ჩატარდება, თუმცა არა მხოლოდ ამ სკოლის წარმომადგენელთათვის. იდეის ავტორი ამბობს, რომ ფესტივალი ნებისმიერი მსურველისთვის იქნება და მხოლოდ მათ სკოლას არ ეხება.

„ზოგადად, ქიმია ისედაც საინტერესო საგანია, მაგრამ გადავწყვიტეთ სასწავლო პროცესი კიდევ უფრო საინტერესო გაგვეხადა. დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩვენ ქიმიური ფესტივალის ორგანიზებას და ჩატარებას შევძლებთ. გვინდა ის, რასაც მოსწავლეები თეორიულად სწავლობენ პრაქტიკულადაც ნახონ და სხვადასხვა ქიმიური ცდები ჩავატაროთ. პროექტის მიხედვით სხვადასხვა რეაქტივების შეძენაც დაფინანსდა, საერთო ჯამში 500 ლარიანი დაფინანსება მოვიპოვეთ. ფესტივალი №1 სკოლაში ჩატარდება, თუმცა, სხვა სკოლებიც დაესწრებიან, ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალი იქნება. აქვე დავამატებ იმასაც, რომ უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად დაცული იქნება,“ – ამბობს პროექტის ავტორი ნათია თავაძე.

ილია მარტყოფლიშვილი

# მშობელი vs პედაგოგი

(დასაწყისი გვ 5)

პრობლემას კარგად იცნობენ განათლების სამინისტროში. ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი **ეკა დგებუაძე** „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ შესაძლებელია ბავშვისთვის გათვალისწინებული სასწავლო გეგმა შეიცვალოს, თუმცა, ამისთვის მშობლის თანამშრომლობაა საჭირო. შარმაზანაშვილი კი მათთან არ თანამშრომლობს.

**„მშობელს აქვს პრეტენზიები სკოლასთან. ჩვენ გვქონდა აქტიური ჩარევა როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ისე მულტიდისციპლინურ გუნდთან და მოსწავლის სპეცმასწავლებელთან.** ჩვენ განვიხილეთ საქმე, გვქონდა რამდენიმე შეხვედრა და შევთანხმდით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი არის თვითონ მშობელმა ითანამშრომლოს სკოლასთან. 19 მარტს საგანმანათლებლო რესურსცენტრში დაიგეგმა კიდევ ერთი შეხვედრა, დედა მოვიდა, მაგრამ არ ითანამშრომლა არც სკოლასთან, არც მულტიდისციპლინურ გუნდთან და არც სპეციალურ მასწავლებელთან. ამიტომ ჩვენი გუნდის თხოვნაა, იმის გამო, რომ არ დაირღვეს მისი განათლების უფლება, არ შეილახოს მისი უფლებები, ახლა მნიშვნელოვანია თავად მშობელმა დაიწყოს დიალოგი. დროის გაზრდას რომ ითხოვს, გასაგებია, მაგრამ, ეს რომ განხორციელდეს, საჭიროა მშობელიც და ჩვენც დავსხდეთ და ყველამ ერთად ვიმსჯელოთ, როგორ იქნება უკეთესი. შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გადაიხედოს და ხელახლა შედგეს, მაგრამ ეს მსჯელობას მოითხოვს. მდგომარეობა, რასაც მშობელი ასე აპროტესტებს მისივე თანამშრომლობით უნდა გამოსწორდეს,“ – ამბობს დგებუაძე.

მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრი, **თამარ ტუხაშვილი**, სპეციალურ მასწავლებელზე ჰყვება, რომ „ის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური და პროფესიონალი სპეცმასწავლებელია“.

2014 წელს, როცა სკოლაში ინკლუზიური განათლების სისტემა დაინერგა, სკოლას არ ჰყავდა სპეციალური განათლების მასწავლებელი, რომელიც შესაბამის კონკურსში მიიღებდა მონაწილეობას (მაგალითად, სპეცპედაგოგი უნდა იყოს განათლებით ან ფსიქოლოგი, ან ოკუპაციური თერაპევტი). ამიტომ, თამარ ტუხაშვილის რეკომენდაციით, მათეს ახლანდელმა პედაგოგმა სპეცპედაგოგის ფუნქციებიც შეითავსა. მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრის, ტუხაშვილის ინფორმაციით, სპეცმასწავლებელს დღემდე არ გაუვლია განათლების სამინისტროს შესაბამისი ტრენინგები: „არ ვიცი რატომ, მაგრამ ჟანა ვერ მოხვდა უფასო ტრენინგების კურსზე, რაიონიდან მხოლოდ 2 მასწავლებელს ჰქონდა მონაწილეობის უფლება. თუმცა, მან თავისივე ფინანსური რესურსით გაიარა ძალიან პროფესიული კურსები და ახლა ის სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესოა“, – ამბობს თამარ ტუხაშვილი.

მოთხოვნის შემდეგ გადაწყდა, ბავშვის შესაძლებლობები ხელმეორედ შეეფასებინათ. მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრი, თამარ ტუხაშვილი ამბობს, რომ ამ მიზნით, გაკვეთილს მათეს დედასთან ერთად დაესწრო: **ზუსტად მე-16 წუთზე ბავშვმა მოძრაობა დაიწყო. და კიდევ ერთხელ მივხდით, რომ დედის მოთხოვნა არასწორი იყო. ბავშვი არ იყო მზად.** ჩვენ გვახსოვს შემთხვევები, როცა ის კლასელებსა და მასწავლებელს ფეხს ურტყამდა, კლასელს თავზე ნაგვის ყუთი ჩამოაფარა და შეაშინა. ამიტომ, აკადემიური სწავლების დაწყებამდე მათემ ჯერ ქცევითი უნარები უნდა გააუმჯობესოს“, – ამბობს ტუხაშვილი და განმარტავს, რომ მისთვის გაუგებარია მშობლის უკმაყოფილება, რადგან მასთან საუბრის დროს, ვერ მოისმინა მყარი არგუმენტები, რატომ არ მოსწონს სპეცპედაგოგი.

**მომავალ კვირას განათლების სამინისტროში ყველა მხარის შეხვედრა დაინიშნა... მშობლისა და პედაგოგის დაპირისპირებას ბავშვის ინტერესები ეწირება. ორივე მხარეს თავისი სიმართლე აქვს, მაგრამ მთავარია, რომ „ნაბან წყალს ბავშვი არ გადავაყოლოთ“...**

ილია მარტყოფლიშვილი


## ულოცავენ!

**ნანუკა და საბა ნასრაშვილებს!**

ვულოცავ ჩემს ლამაზ და საყვარელ შვილიშვილებს – ნანუკას დაბადებიდან 4, ხოლო საბას 3 წლისთავს.

ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, დღეგრძელობას და ბედნიერ მომავალს.

ნანი ბაღაშვილი, **სოფელი ზემო მაჩხაანი**



## ქალბატონების საყურადღებოდ!

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში სოციალური მომსახურების (კერვა, ქსოვა, ქარგვა) ობიექტის გახსნასთან დაკავშირებით, კერვის მცოდნე ქალბატონებს გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ. მისამართი: ფიროსმანის 18, ☎ 593 75 69 30.

**განმცხადებელი** მაია ბაიდოშვილი


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 26.03 | | სამშაბათი 27.03 | | ოთხშაბათი 28.03 | | ხუთშაბათი 29.03 | | პარასკევი 30.03 | | შაბათი 31.03 | | კვირა 01.04 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 10 ° | 9 ° | 12 ° | 11 ° | 16 ° | 14 ° | 12 ° | 10 ° | 12 ° | 9 ° | 10 ° | 4 ° | 6 ° | 5 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.